ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტრიალეულის
პირველი
8 ლარი ტომი

ხუთშაბათი, 2 მაისი, 2013 №103 (6104) ფასი: 30 თეთრი

# სოსო ჯაჭვლიანი დავით უსუფაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

„ჩვენ გვყავს მსუბუქი ყოფაქცევის პრეზიდენტი, რომელსაც პარლამენტის დათხოვნის ერთი ადგილი არ აქვს“

გვ.3

## კობა დავითაშვილი ახალ შარში გაეხვა

გვ.6

ქუთაისის პარლამენტის წინ „ოცნების“ მაისური დაწვეს

## კახი კალაძე: „პრეზიდენტობისთვის ასაკით ძალიან პატარა ვარ“

გვ.4

## ბაჩო ახალაიას საქმიანობის შესახებ ფილმი აჩვენეს

გვ.4

## ნანა დევდარიანი: „მერაბიშვილის და ბარამიძის პრეზიდენტობის სურვილი სასაცილოა“

გვ.2

გვ.6

## გიორგი თევზაძე: „ქართული მიწების გასხვისება უნდა შეწყდეს“

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

გვ.5

## მაგთიკომმა სახელმწიფო კონსოლიდირებულ ტენდერში კვლავ გაიმარჯვა

29 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ქართული ფენომენი
ტომი 1
8 ლარი
თეკლა ბატონიშვილი




ISSN 1987-9385

4 გუშინდელ დარბევაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ შსს-ს მიმართავს

5 მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს შეხვდა

4 „რუსთაველის გამზირზე მომხდარი ინციდენტი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა“

5 შსს-მ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დაკავებული კიდევ ერთი მოქალაქე გაათავისუფლა

# „მერაბიშვილის და ბარამიძის პრეზიდენტობის სურვილი სასაცილოა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანთან

***– ქალბატონო ნანა, რაც დრო გადის, საზოგადოებაში ჩნდება მოთხოვნილება, რომ რეალური ოპოზიცია გააქტიურდეს, ხალხი ნაციონალებს ოპოზიციად არ აღიარებს. რამდენიმე დღის წინ შუალედური არჩევნებიც გაიმართა, რა დაგანახათ თქვენ ამ არჩევნებმა?***

– შუალედურმა არჩევნებმა, პირველ რიგში, ნაძალადევში აჩვენა, რომ მეორე ადგილი არა აქვს ნაციონალურ მოძრაობას. რაიონები კიდევ სხვა სიტუაციაა და იქ შეიძლებოდა კიდევ ადგილობრივი რესურსის გამოყენება, რადგან ყველამ ვიცით, რომ მათ რესურსი კიდევ აქვთ და ამით რაღაცა შედეგი ეჩვენებინათ. ნაძალადევში კი კახა კუკავას მეორე ადგილი, ჩათვალეთ, რომ ძალიან დიდი გამარჯვებაა. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომელი ძალა შეიძლება იყოს რეალური ოპოზიცია. არ შეიძლება, რომ ამ სიგნალს ნაციონალებიც არ გრძნობდნენ. გია ბარამიძის ასეთი გააქტიურება და მუდმივ შეტევაზე გადასვლა მხოლოდ ამას ნიშნავს. ასე რომ, რეალური ოპოზიციური ძალა ვინც არ უნდა დაასახელოს, ვისთვისაც ვინ არ უნდა იყოს სასურველი, გამოიკვეთება ახლა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საპრეზიდენტო კანდიდატები.

***– ქალბატონო ნანა, პრემიერის ნათქვამი ბევრმა ცუდად გაიგო, ივანიშვილს დანიშნული ოპოზიცია სჭირდებაო...***

– მე მგონი, გადაჭარბებულ შეფასებებს აძლევენ ივანიშვილის ნათქვამს. მან უბრალოდ თავისი პოზიცია გამოხატა. ისიც ხომ ამომრჩეველია? ის ისურვებდა, რომ, მაგალითად, ესა და ეს ადამიანები ყოფილიყვნენ ოპოზიციაში. თუმცა ამას წყვეტს ხალხი. არავინ არ დაუნიშნავს და არ მოუწოდებია, გინდა თუ არა, ამ კანდიდატებს მიეცით ხმაო. პირიქით, ამ შუალედურზე ოცნებამ გამოხატა თავისი პოზიცია, სამი კანდიდატი ჰყავდათ და სამივე გაიყვანეს. ამდენად, ძალიან გადაჭარბებულია ეს შეფასებები. ერთია, მისი პიროვნული ფაქტორი, განწყობა, სიმპათიები და მეორეა, ამომრჩეველი ყველა კონკრეტულ ოლქში ვის დაუჭერს მხარს.

***– ალბათ, დროა, რომ რეალური ოპოზიცია გააქტიურდეს, თუმცა ისინი დაქსაქსულები არიან, ალბათ, დამეთანხმებით?***

– არა მარტო დაქსაქსულია, გარკვეულწილად ოპოზიციური პარტიები დემორალიზებულია. რომ არა ივანიშვილის უზომო ავტორიტეტი, სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება იქნებოდა შეუძლებელი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა ივანიშვილს, თუ ვის მიიწვევდა ის თავის კოალიციაში. მან თავისი არჩევანი გააკეთა და საკმაოდ აქტიური ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერები დატოვა თამაშგარე მდგომარეობაში. იქიდან ნაწილმა არჩია, არ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა, ნაწილმა მიიღო, მაგრამ წააგო, რაც არ იყო ძნელი განსაჭვრეტი. როდესაც ორი ასეთი ძალა უპირისპირდება ერთმანეთს, იქ მესამეს გასვლა პარლამენტში უკიდურესად რთულია. ამდენად, რა თქმა უნდა, გარკვეული დემორალიზაციის ფაქტორი არის, იმიტომ, რომ აბა, წარმოიდგინე, ხარ პოლიტიკური ლიდერი, ხარ აბსოლუტურად მიუღებელი სააკაშვილისთვის, ამ დროს გამოდის ახალი ძალა, რომელიც რეალურია, რომ დაამარცხებს სააკაშვილის რეჟიმს, მაგრამ მისთვისაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ხარ მიუღებელი. ეს ძალიან რთული ფაქტორია პოლიტიკაში. შედარება რომ ვიხმაროთ, სიყვარულს რომ შეადარო პოლიტიკა, ძალიან ხშირად ეს არის ცალმხრივი სიყვარულის ისტორია, როცა შენ აკეთებ ყველაფერს იმისთვის, რომ ამომრჩეველს უყვარდე და არჩევანს შენს სასარგებლოდ აკეთებდეს, მაგრამ არ აკეთებს შენს სასარგებლოდ.

***– ქალბატონო ნანა, ვნახეთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა უპირატესობა რესპუბლიკელებს მიანიჭა. დღეს საუბარია, რომ მათი გავლენის ქვეშ მოექცა პრემიერი. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს მოსაზრებები?***

– გარედან ასე ჩანს. პოლიტიკაში ხანდახან იმას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩანს, ვიდრე იმას, რა არის სინამდვილეში. ეს ძალიან მოქმედებს ამომრჩევლის განწყობაზე. ახლა რამდენიც არ უნდა ამტკიცოს პრემიერ-მინისტრმა, რომ ის გავლენებისგან თავისუფალია, ეს

მაინც ასე გამოიყურება და ამომრჩეველი ამის მიხედვით აკეთებს დასკვნებს. იმიტომ, რომ ამომრჩეველს კარგად აქვს გამოყოფილი თავისი ფავორიტები და ამ ფავორიტებში რესპუბლიკური პარტია არ არის. თუმცა ვერ დავუკარგავთ რესპუბლიკურ პარტიას, რომ ის ყველა ერთობაში, რომელშიც კი შესულა, შიგნით ყოველთვის არის წამყვანი ძალა. აი, ამის უნარი აქვთ. ისინი ყოველთვის აღწევენ პოლიტიკურ მიზანს. პარტია სწორედ იმისთვის არსებობს, რომ მიაღწიოს პოლიტიკურ მიზანს. ამ მხრივ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც უსუფაშვილია თავმჯდომარე, პარტია ნამდვილად აღწევს წარმატებებს და თავის პოლიტიკურ მიზნებს ახორციელებს.

***– საუბრობენ იმაზეც, რომ რესპუბლიკელები გარიგებაში არიან ნაციონალებთან და სურთ, რომ ისინი გადაარჩინონ პოლიტიკურ სიკვდილს. განცხადებებიც მოვისმინეთ ამის თაობაზე. უსუფაშვილმა კი განმარტა, რომ ეს საზოგადოებამ სხვაგვარად გაიგო, მე სხვა რამ ვიგულისხმეო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია...***

– საზოგადოებამ ძალიან სწორად გაიგო. დემოკრატიის ხათრით ნაციონალების ატანა, როგორც ერთადერთი ოპოზიცია, ამომრჩეველს არ უნდა და ამომრჩეველი ყოველთვის არის მართალი. როგორც კომერციაშია, რომ კლიენტი ყოველთვის მართალია, ისეა პოლიტიკაშიც, ამომრჩეველი ყოველთვის მართალია. რაც არ უნდა არასწორი შეხედულება ჰქონდეს მას, არასწორად აფასებდეს, იყოს სუბიექტური რომელიღაც პარტიის მიმართ, ამომრჩეველი ყოველთვის მართალია. ამიტომ თუ დათო უსუფაშვილი ამას არ გაუწევს ანგარიშს, ასეთი განცხადებების კეთება არის სერიოზული დარტყმა. შეიძლება ის დასავლეთის მიმართულებით გზავნიდა ამ მესიჯებს, სხვათა შორის, ინტერვიუც რადიო „თავისუფლების“ ევროპის ბიუროში იყო. დასავლეთისთვის განსაზღვრული მესიჯი იყო, მაგრამ მან ძალიან ხმაურიანად გაიჟღერა აქ. ქართველი ხალხი არ არის მომხრე, რომ ეს პარტია თანაც ხელოვნურად იქნეს რეანიმირებული. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. არანაირი დემოკრატია არ ღირს იმად, რომ ამ რეჟიმის ავტორი პარტია როგორც იქნა, ძალაუფლებას ჩამოაშორეს და ახლა ხელოვნურად უნდათ სათბურის პირობები შეუქმნან და შეინარჩუნონ. პრინციპში დათო უსუფაშვილმა გააჟღერა ის, რა მოთხოვნებიც აქვს დასავლეთს. ეს მათ უნდათ პოლიტიკაში ნაციონალების შენარჩუნება და არა დათო უსუფაშვილს, ან რესპუბლიკურ პარტიას, ან კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

***– რამდენად გამოვა ეს ამბავი?***

– ეს უკვე მთლიანად ხალხზეა დამოკიდებული. მე მესმის, რომ ოთხი წელი ძალიან დიდი ვადაა იმისთვის, რომ ოთხი წლით ადრე რაღაც ილაპარაკო, მაგრამ, მაგალითად, შემოდგომაზე არის საპრეზიდენტო არჩევნები, 2014-ში არის საპრეზიდენტო არჩევნები, აი, საბოლოო წერტილი და განაჩენი უნდა დაუსვას ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩეველმა და ნუ ელოდება, რომ ეს მოხდება კოალიციის ძალებით პარლამენტში. ყველას თავისი ერთი ხმა იმიტომ აქვს, რომ თავისი პოზიცია გამოხატოს ოქტომბერშიც და 2014-შიც.

***– თუმცა საუბარია, რომ აუცილებლად დადგება მოთხოვნილება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?***

– აუცილებლად დადგება. პრინციპში, ახლაც დგას. უბრალოდ საპრეზიდენტო არჩევნებია ძალიან მოახლოებული და იმიტომ არ არის გააქტიურებული ეს თემა, თორემ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ნაციონალები გამანადგურებლად წააგებენ. ასევე ჩვენ შევხედავთ, ვინ იქნება პრეზიდენტი და საერთოდ, ვინ მიიღებს ამ საპრეზიდენტო რბოლაში მონაწილეობას. აი, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, უკვე ძალიან აქტიურად დადგება დღის წესრიგში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი. იმიტომ, რომ ეს პარლამენტი უკვე აღარ ასახავს ამომრჩევლის განწყობებს.

***– ქალბატონო ნანა, რაც შეეხება მომავალ პრეზიდენტს, საკმაოდ ბევრი კანდიდატურა სახელდება ოცნების მხრიდან. ექსპერტების მხრიდან მოვისმინეთ ასეთი შეფასებებიც, რომ ის არ უნდა იყოს მხოლოდ პოლიტიკოსი, არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე პოლიტიკურ ძალას. თქვენი აზრით, ჩანს რეალური კანდიდატი, ვისაც ივანიშვილი დაასახელებს?***

– ჯერჯერობით კოალიციას არჩევანი არ გაუკეთებია და ეს ბევრი კანდიდატურის დასახელებაც აქედან მოდის. ეს არის მოსინჯვითი ხასიათის. ჩვენ ნუ დაგვავიწყდება, რომ როცა ვლაპარაკობთ პარლამენტში არ არის წარმოდგენილი რეალური ოპოზიციური ლიდერები, რატომ გამოვრიცხავთ, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ საპრეზიდენტო არჩევნებში? აი, მაგალითად, რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ნინო ბურჯანაძემ?!

***– ითქვა, რომ მას შანსი არ ექნება, რადგან ფავორიტე კოალიცია ოცნებააო...***

– ჯერ ერთი, საქმე ის გახლავთ, რომ თუ ჩვენ კოჰაბიტაციაზე ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში ორი მმართველი ძალის თანაარსებობაზე. სინამდვილეში კოჰაბიტაცია ის კი არ არის, რომ შენ ვინც გამოცხადებული გყავს დამნასავე რეჟიმად, იმასთან ითანამშრომლო, არამედ ის, რომ პრეზიდენტი იყოს არც ოცნების და არც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი. ეს არის ნორმალური პოლიტიკური თანაარსებობა, თორემ სხვა კი არაფერია. მე არ ვიცი, აპირებს თუ არ აპირებს ნინო ბურჯანაძე მონაწილეობას, მე უბრალოდ გამოვთქვამ ვარაუდებს. ეს სრულიად შესაძლებელია და მე ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ არის ცუდი კონფიგურაცია.

***– თუკი ოპოზიცია შეძლებს, რომ შეთანხმდეს ერთ კანდიდატზე და თუნდაც ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა წამოაყენოს, რა შანსები აქვს ბურჯანაძეს?***

– საკმაოდ კარგი, სერიოზული შანსი აქვს. მოდით, ნუ დაგვავიწყდება ჩვენ, რომ ფაქტიურად რეჟიმი საბოლოოდ გადატეხა 26-მა მაისმა. ეს ძალიან სერიოზული ფაქტორია და 26 მაისამდე ივანიშვილი არ გამოჩენილა პოლიტიკაში. 26 მაისის მერე სამ-ოთხ თვეში გამოვიდა ასპარეზზე. ეს მნიშვნელოვანია. მეორეც, მნიშვნელოვანია ის, რომ მას ეკავა უმაღლესი თანამდებობები, მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ იგი გაემიჯნა სააკაშვილს და აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში სერიოზული გამოცდილება. ჩვენ ნუ გვგონია, რომ სრულიად უუფლებოა მომავალი პრეზიდენტი და ის არაფერს არ წყვეტს. ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი, რომელმაც თავისი წარმომადგენლობითი ფუნქცია საერთოდ დაანგრია. იმისთვის, რომ ხიდები ეშენებინა, მტრები გაიჩინა. ამიტომ პრეზიდენტი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც მომლაპარაკებლის ხელოვნება კარგად ეცოდინება.

***– თქვენ ასეთ ერთ-ერთ კანდიდატად ნინო ბურჯანაძე მიგაჩნიათ?***

– მადლობა ღმერთს, რომ არ არის დეფიციტი საპრეზიდენტო კანდიდატების. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ მოიქცეს გონივრულად. ნაციონალებისგან გონივრულ მოქცევას არ ველი.

***– ნაციონალები პრაიმერით აპირებენ თურმე კანდიდატის გამოვლენას...***

– ძალიან სასაცილოდ გამოიყურება ეს ყველაფერი. რომელ პრაიმერზე ლაპარაკობენ, ადამიანები საკუთარ აზრს ვერ გამოთქვამდნენ შიგნით პარტიაში. მიშა რასაც იტყოდა, ის კეთდებოდა, რა პრაიმერზეა ლაპარაკი. საერთოდ, სასაცილოდ იგდებენ თავსაც და ხალხსაც. წარმოიდგინეთ, ახლა ორი შინაგან საქმეთა მინისტრის პრაიმერი, მერაბიშვილის და ბარამიძის. არ არის ანეკდოტი? მე აქ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრობას კი არ ვუსვამ ხაზს, რა აკეთა ერთმა შინაგან საქმეთა მინისტრიეს თანამდებობაზე და რა აკეთა მეორემ. ხომ არ გონიათ, რომ ვინმეს რამე დაავიწყდა?! თუ ერთს გირგვლიანის, რობაქიძის და თელიას ამბები ბრალდება, მეორეს აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა ბრალდება. დაცინვაა მართლა! როგორ უნდა ბედავდნენ ასეთი ადამიანები, რომ თავის თავი საპრეზიდენტო კანდიდატად მოიაზროს.

***– ფაქტია, რომ ისინი უკვე განწირულები არიან მარცხისთვის, ქალბატონო ნანა...***

– აქ ერთი სერიოზული ფაქტორია და მინდა, რომ ყველამ ამ თვალით შეხედოს. გუშინ მე დებატებს ვუსმინე ირაკლი სესიაშვილის და გია ბარამიძის და ასე თუ გააგრძელეს, არც ისეთი სიცრუე იქნება ის განაცხადი, რომ ხმები ჩვენი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებული და ნაადრევიაო, რომ იძახიან. ისინი არიან ძალიან შემტევი და ამათ აქვთ, არ დაგავიწყდეთ, 20 წლის სტაჟი პოლიტიკაში ყოფნის, ზოგიერთს – ნაკლები, 18 ან 15, მაგრამ ეს ძალიან დიდი დროა. მათ იციან დებატები, იციან წელსქვევით დარტყმები როგორ უნდა განახორციელონ, იციან დემაგოგიის მარტივი წესები, როგორ უნდა დაბრალო მოწინააღმდეგეს ის, რასაც წლების მანძილზე შენ თვითონ სჩადიოდი. ამ ფონზე, ოცნების წარმომადგენლები, მათ ღირსეულ ოპონირებას, სამწუხაროდ, ვერ უწევენ. საჭიროა ძლიერი საპრეზიდენტო კანდიდატი, რომ საფრთხეები თავიდან იქნეს აცილებული. როდესაც არ არის ინფორმაცია, იწყება ვარაუდები, სხვადასხვა კანდიდატი სახელდება, არც ერთი ამ ადამიანის წინააღმდეგი მე არ ვარ და არც შეიძლება ვიყო, მაგრამ ახლა არის ძალიან სერიოზული და პრაგმატული არჩევანი გასაკეთებელი. მე ისევ ვიმეორებ, არ არის პრეზიდენტი ასეთი ხელწამოსაკრავი ფიგურა, რომ სულერთია ვინ იქნება. არ არის ეს სულერთი. პრეზიდენტი, რომელსაც აქვს ფართო წარმომადგენლობითი ფუნქციები, არც ერთ საერთაშორისო არენაზე არ უნდა ჩაიჭრას. სააკაშვილისნაირი იმპულსური და წინასწარ რომ ვერ განჭვრეტ, რას გააკეთებს, ასეთი ადამიანის შემდეგ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრეზიდენტი. ბოლოს და ბოლოს ეს ქვეყნის პრესტიჟის ამბავია.

## გამოკითხულთა უმრავლესობა ევროსაბჭოში პრემიერის გამოსვლას დადებითად აფასებს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 24 აპრილიდან 1 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, პოზიტიურად აფასებს.

კითხვაზე – „როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლას,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 82,1 პროცენტმა უპასუხა, რომ დადებითად აფასებს, 14,3 პროცენტის შეფასება კი უარყოფითია.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 3,6 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ჯაჭვლიანი დავით უსუფაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

## „ჩვენ გვყავს მსუბუქი ყოფაქცევის პრეზიდენტი, რომელსაც პარლამენტის დათხოვნის ერთი ადგილი არ აქვს“

**საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში გუშინ საკმაოდ ხალისიანი სხდომა გაიმართა. გუშინ გაირკვა, რომ დეპუტატ გოგა ხაჩიძეს ახალი მუზა ჰყავს. სოსო ჯაჭვლიანი კი პარლამენტის თავმჯდომარისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.**

**დეპუტატ გოგა ხაჩიძის მუზა აქამდე იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იყო. სწორედ ხაჩიძემ „გაარკვია“, რომ იუსტიციის მინისტრს იურისტის დიპლომი არ ჰქონდა. მართალია წულუკიანმა ეს დიპლომები ააფრიალა, მაგრამ დეპუტატმა არ დაიჯერა. გია ხუხაშვილის პერსონამ კი ხაჩიძეს წულუკიანიც დაავიწყა და მისი დიპლომებიც. სხვათა შორის, გოგა ხაჩიძე ერთადერთი არ არის, ვისთვისაც მთავარი სალაპარაკო თემა გია ხუხაშვილია.**

**გოგა ხაჩიძე მიიჩნევს, რომ გია ხუხაშვილის გარეშე ცაში ფრინველი არ დაფრინავს და დედამიწაზე ჭიანჭველა არ დადის.**

**შორენა მარსაგიშვილი**

– აქამდე, რიტორიკული შეკითხვები არსებობდა – ვინ შეკაზმავს ცხენს? და ა.შ., მაგრამ ახლა, აქტუალური კითხვაა – ვინ არის ხუხაშვილი?! არჩევნებამდე, ხუხაშვილის რჩევებს უსმენდნენ, ახლა კი, მისი რჩევების გათვალისწინება სავალდებულო გახდა. ეკონომიკის ვარდნას სწორედ ექსპერტად წოდებულ ხუხაშვილს ვუკავშირებ, რომელიც პრემიერის ფავორიტია და ბევრ ადგილზე ვიხილეთ ხუხაშვილის გამობრუნებები. ასევე ვნახეთ, რომ ბიზნესმენები აღსარებაზე ხუხაშვილთან დადიოდნენ, ხუხაშვილი კი, „პიქსელის“ შენობაში ბიზნესმენებს თვლიდა და ჭერში აწყობდა. გავიდა დრო და ხუხაშვილმა მოძველბიჭო, რომანტიზმით გაჯერებული გამოსვლები დაიწყო – „რამდენიმე თბილისელი შეიკრიბება და რაღაცებს გადაწყვეტენ“. მერე ხუხაშვილი რკინიგზის დეპარტამენტში მრჩევლად წავიდა და რკინიგზაში შემცირდა კადრები. ფაქტიურად, ხუხაშვილის გარეშე ცაში ფრინველს ვერ გაუფრენია და დედამიწაზე ჭიანჭველას. ერთადერთი, რასაც ველოდეთ, არის ის, რომ სახლში ზარი გაისმება, გავიხედავ და დამხვდებიან საერთო ჩაცმულობის ადამიანები და მკითხავენ – გინდა გესაუბროთ ჭეშმარიტ ხუხაშვილზე?! – განაცხადა ხაჩიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ეკა ბესელიას განცხადებით, უმცირესობის წევრ გოგა ხაჩიძეს გია ხუხაშვილის სახით ახალი მუზა გაუჩნდა.

– მინდა, გოგა ხაჩიძეს გამოვეხმაურო და ვუთხრა, რომ ცოტა ხნის წინ მისი მუზა ქალბატონი თეა წულუკიანი იყო, როგორც ჩანს, ახლა მას ახალი მუზა გაუჩნდა, ბატონი ხუხაშვილის სახით და ვიდრე ახალ გმირს არ მოძებნის, დარწმუნებული ვარ, ასეთი სულისკვეთებით მორიგ ისტორიებს მოგვიყვება და იმედია, ჩვენ რომ რაღაცას ვერ გავაკეთებთ პარლამენტში, ესეც ხუხაშვილის ბრალი არ იქნება, – განაცხადა ბესელიამ.

ნაციონალები, მოგეხსენებათ, ძალიან ღელავენ იმაზე, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ დარიგდება. ამ თემაზე თითქმის ყველამ გაინერვიულა თავი. გუშინდელ სხდომაზე კი ხათუნა გოგორიშვილის რიგი დადგა.

მისი განცხადებით, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები ჟურნალისტ შორენა შავერდაშვილის მამისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის, დიმიტრი ქუმსიშვილის ცოლის ძმის სტამბებში იბეჭდება.

მისი თქმით, განათლების სამინისტრომ სასკოლო სახელმძღვანელოების მოსწავლეებისთვის უფასოდ დარიგების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რაც ერთი შეხედვით, ყველასთვის მოსაწონი გადაწყვეტილებაა, თუმცა, ეს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობა გახდა.

– მინისტრმა ეს გადაწყვეტილება 8 აპრილს გამოაცხადა, ამის შემდეგ, რამდენიმე დღის მერე თქვა, რომ სამინისტრო ტენდერს არ ჩაატარებს, რომ სტამბების ტექნიკური შესაძლებლობების შესწავლა მოხდება და სტამბა ასე შეირჩევა და კიდევ რამდენიმე დღეში თქვა, რომ უკვე ასეთი ოთხი სტამბა შერჩეულია, რომელმაც როგორც მინიმუმ ორი კვირით ადრე იცოდა ამ გადაწყვეტილების შესახებ და სწორედ ამ მიზნით მათ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება შექმნეს. მაქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომ გაერთიანების შექმნა 29 მარტით თარიღდება, ანუ 10 დღით ადრე და ოთხი შპს, ესენია – „ფავორიტი პრინტი“, „ფორმა“, „სეზანი“ და „ენვეპე“. ეს გახლავთ ოთხი შპს, რომელიც გაერთიანდა და შემდეგ სწორედ ის შეარჩია განათლების სამინისტრომ. სტამბა „სეზანი“ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ჟურნალისტის შორენა შავერდაშვილის მამას ეკუთვნის, რომელიც ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. რაც შეეხება „ფავორიტ პრინტს“, მისი ხელმძღვანელი ივანე თევდორაშვილია, რომელიც ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის ცოლის ძმა გახლავთ. ალბათ, გახსოვთ, რომ დიმიტრი ქუმსიშვილი, ვიდრე მინისტრის მოადგილე გახდებოდა, ბანკი „ქართუს“ დირექტორის მოადგილე იყო, – განაცხადა გოგორიშვილმა.

ჟურნალისტი შორენა შავერდაშვილი საპარლამენტო უმცირესობის წევრ ხათუნა გოგორიშვილის დღეს გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ის უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესში შესაძლო კორუფციულ გარიგებაზე საუბრობს. შორენა შავერდაშვილის განცხადებას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

– რადგან ბოლო რამდენიმე თვეა აღარ ვაკეთებ სატელევიზიო კომენტარებს ამა თუ იმ საკითხზე, და რადგან არსებობს მედიის ინტერესი ამ თემისადმი, ხათუნა გოგორიშვილის ბრალდებასაც ამ მოკლე განცხადებით გამოვეხმაურები. სტამბა „სეზანი“, რომელიც 1994 წლიდან არსებობს და ერთ-ერთი პირველი იყო პოლიგრაფიულ ბაზარზე, მართლაც ეკუთვნის მამაჩემს, ტარიელ შავერდაშვილს. არსებობის თითქმის 20 წლის მანძილზე, „სეზანი“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და წარმატებული სტამბა გახდა, თავისი ტექნიკური აღჭურვილობითა და გამოცდილებით. „სეზანთან“ წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ როგორც სახელმწიფო უწყებები და პოლიტიკური პარტიები (მათ შორის, „ნაციონალური მოძრობა“), ისე კერძო კომპანიები, პატარა თუ დიდი გამომცემლები. „სეზანის“ კლიენტები ვართ ჩვენც, სადაც უკვე 9 წელია იბეჭდება ჩვენი გამოცემები და სადაც იბეჭდება ჟურნალი „ლიბერალიც“, არა უსასყიდლოდ, რა თქმა უნდა. ჩვენც ისეთივე გადამხდელები ვართ სასტამბო მომსახურების, როგორც „სეზანის“ სხვა კლიენტები. „სეზანი“ ასევე წლებია ბეჭდავს სახელმძღვანელოებს. გამონაკლისი მხოლოდ ბოლო წლები იყო, როცა „შაშკინის განკარგულების“ თანახმად და გამომცემლებთან არაოფიციალური მოლაპარაკების საფუძველზე, ყველა სახელმძღვანელო ერთ სტამბაში, „24 საათის“ სტამბაში დაიბეჭდა და ამით შეიქმნა ხელოვნური მონოპოლისტი ბაზარზე. 2011 წელს ხელისუფლების პოლიტიკის მსხვერპლი სწორედ სტამბები იყვნენ. ამჯერად, განათლების სამინისტრომ სათანამშრომლოდ ოთხი სტამბა შეარჩია და ძირითად კრიტერიუმად სტამბების „მატერიალურ-ტექნიკური“ ბაზა დაასახელა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესში, დრო და სისწრაფე, ხარისხთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ ოთხ სტამბაშია „24 საათის“ სტამბაც, რომელიც წარმადობით ასევე ერთ-ერთი ყველაზე დიდია. ვეჭვობ, 24 საათის სტამბა ახალი ხელისუფლების „ფავორიტების“ ნუსხაში შედიოდეს. ხათუნა გოგორიშვილმა კი ის რატომღაც არ დაასახელა. აქვე აღვნიშნავ, რომ „სეზანი“ სახელმძღვანელობის მხოლოდ 10 პროცენტს დაბეჭდავს და ეს ვერანაირად ვერ არის „დიდი ნაწილი“, როგორც ამას ქალბატონი ხათუნა აღნიშნავს. განათლების სამინისტროს უფასო სახელმძღვანელობის დარიგების ინიციატივაზე, რომელმაც სრულიად გარიყა პროცესიდან გამომცემლები, „ლიბერალმა“ არაერთი კრიტიკული სტატია დაწერა და არაერთხელ გამოვხატეთ ჩვენი მხარდაჭერა გამომცემლებისადმი. განათლების სამინისტროს მისამართით ჩვენც ბევრი კითხვა გვაქვს, მათ შორის სტამბებთან მოლაპარაკების პროცედურებზე და „ლიბერალი“ აქტიურად წერს ამ თემებზე. იმის შესახებ, თუ რამდენად ვარ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირი, როგორც ამას ქალბატონი ხათუნა ამტკიცებს, კომენტარი არასერიოზული მგონია. რაც შეეხება ბრალდების მეორე ნაწილს, რომ „სეზანი“ ჩემს გამო მოხვდა განათლების სამინისტროს ნუსხაში – ეს აბსურდია და ამას „სეზანის“ ბიოგრაფიაც ცხადყოფს. სამწუხაროა, რომ პარლამენტარი, რომელიც, წესით, კარგად იცნობს ჩემი ოჯახის წევრებს და მათ საქმიანობას, ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს, – აცხადებს შორენა შავერდაშვილი.

აგვისტოს ომი აქტუალობას არ კარგავს. ახალი ხელისუფლება მის გამოძიებას აპირებს, რასაც ნაციონალები ეწინააღმდეგებიან. დეპუტატ აკაკი ბობოხიძის მტკიცებებით, ნაცმოძი გამოძიებას სულაც არ ეწინააღმდეგება. ბობოხიძის განცხადებით, აგვისტოს ომთან დაკავშირებით ოპოზიცია არა გამოძიებას, არამედ წინასწარ გაკეთებულ განცხადებებს აპროტესტებს.

– ბატონებო, ჩვენ არანაირი გამოძიების წინააღმდეგი არ ვართ. ჩვენ ვეწინააღმდეგებით წინასწარ გაკეთებულ განცხადებებს, ნებისმიერი თქვენთაგანი ამბობთ, რომ უნდა დაველოდოთ გამოძიებას და იქვე არ აფასებთ პრემიერის გამოსვლას, რომელიც ქვეყანას სასიკვდილო ცოდვებში სდებს ბრალს. ამაზეა საუბარი და არა იმაზე, რომ ვინმე გამოძიების წინააღმდეგია. მით უმეტეს იმ გამოძიების, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოადგება, – განაცხადა ბობოხიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ვოლკის განცხადებით, აგვისტოს ომის და ლაფანყურის სპეცოპერაციის თემაზე არსებულ კითხვებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა უნდა გასცენ პასუხი.

– მე მინდა, ყურადღება გავამახვილო ლაფანყურისა და ზოგადად კონფლიქტების თემაზე. ერთი და იგივე რიტორიკა მიდის. არასწორი ინფორმაციების გავრცელებას პერმანენტული ხასიათი მიეცა და ამას თითქოს გეგმაზომიერებაც არ აკლია. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ არის საკითხი, რომლის გამოძიებაც დაიწყო, თუ გაგრძელდა და რომელსაც პროკურატურამ მოკიდა ხელი. ეს არის თემა, რომელიც ეხება აგვისტოს ომში ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევას. არის თემა, რომელსაც ასევე გვერდი არ უნდა ავუაროთ. 2007 წლის დეკემბერში პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი არის ამოსაღები კბილი, რომ რუსეთს სამხრეთ ოსეთი არ აინტერესებს. ასევე 2008 წლის იანვარში, კვლავ პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ გარანტიას იძლეოდა, მისი არჩევის შემთხვევაში, რომ 2008 წლის ზამთარში უფრო კომფორტულ გარემოში შევხვდებით სოხუმში, დევნილებს დაჰპირდა. ახლა რეალურად არსებობს შეკითხვა, ვინ შეიყვანა შეცდომაში, რა ინფორმაცია ჰქონდა, რა სისტემა შექმნა მოწინააღმდეგემ ასეთი, რომ ადამიანი, რომელიც შემდეგ პრეზიდენტი გახდა და მთავარსარდლის ფუნქციას დაუბრუნდა, იყო ესოდენ მძიმე შეცდომაში შეყვანილი. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ლაფანყურში მოხდა რაღაც გაუგებრობა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საქართველომ თემაზე ამოიღო ხმა და საუბრობს ღიად ამაზე. არსებობს უამრავი შეკითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გაეცეს და არავინ იფიქროს, რომ საერთაშორისო ზედამხედველობის ასეთი რეჟიმის პირობებში გამოძიება იქნება მიუკერძოებელი. არსებობს კითხვები, რომელზეც პასუხი უნდა გასცეს არა მარტო სამართალდამცველმა სტრუქტურებმა, არამედ იმ სტრუქტურებმა, ვინც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზეა პასუხისმგებელი, – განაცხადა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გია ვოლსკიმ.

განსაკუთრებით ხალისიანი და ენამოსწრებული გამოსვლა ჰქონდა სოსო ჯაჭვლიანს. მან ნაციონალები გამოლანძღა და პარლამენტის თავმჯდომარის მიმართაც გამოხატა პრეტენზიები. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი ჩამოყალიბებული შულერი და აფერისტია. ჯაჭვლიანი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი პარლამენტის დათხოვნას ვერ გაბედავს.

– ყველამ ვიცით, რომ გვყავს მკვლელი პრეზიდენტი, რომელმაც გასცა ბრძანება აფრასიძეების ოჯახის განადგურებაზე. ასევე, შუა ქალაქში დღისით, მზისით დახვრიტეს პროფესორი გურამ შარაძე, დახვრიტეს ასზე მეტი ახალგაზრდა, თვალსა და ხელს შუა მოკლეს ზურაბ ჟვანია, მოაწყეს 26 მაისი და 7 ნოემბერი. ჩვენ გვყავს ლაჩარი პრეზიდენტი, მსოფლიომ ნახა გორის სამარცხვინო კადრები. ჩვენ გვყავს მსუბუქი ყოფაქცევის პრეზიდენტი, რომელიც მთელს მსოფლიოში დაწანწალებს და თავის სამშობლოს აბეზღებს. ასევე, გვყავს მკვლელობის შემსრულებელი, საფლავების შეურაცხმყოფელი ვიცე-სპიკერი ბარამიძე. ის ისე ამაყად უსვამდა კითხვებს ირაკლი ღარიბაშვილს, გეგონება ღარიბაშვილმა ჩაატარა აფრასიძეების სადამსჯელო ღონისძიება სვანეთში. მე ბედნიერი ვიქნები თუ პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და ქართველი ხალხი ნამდვილ პარლამენტს აირჩევს, მაგრამ პრეზიდენტს ამის არც თავი და არც ერთი ადგილი არ აქვს. ის ჩამოყალიბებული შულერი და აფერისტია, – განაცხადა ჯაჭვლიანმა.

ამას გარდა, დეპუტატმა დავით უსუფაშვილს მოუწოდა, მსახიობ დეპუტატებს ბოდიში მოუხადოს.

– რაც შეეხება „ოცნებას“, ისეთი გუნდი უნდა ვიყოთ, რომელიც გვეამაყებოდეს. უსუფაშვილს პატივს ვცემ, მაგრამ თურმე, ჩვენი მსახიობები არ გვჭირდება. შეგახსენებთ, რომ არნოლდ შვარცენეგერი და რეიგანი მსახიობები იყვნენ. უსუფაშვილს მივესალმები, რომ ჩიორას ბოდიში მოუხადა, მაგრამ არც ჩვენ გვაწყენდა ბოდიშის მოხდა, რადგან არ ვართ დასაკარგი ქართველები, – აღნიშნა ჯაჭვლიანმა.

სოსო ჯაჭვლიანი უკვე რამდენიმე კვირაა, რაც პარლამენტის თავმჯდომარისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ უსუფაშვილს ივანიშვილისთვის უთხოვია, პარლამენტში მსახიობებს ნუღარ შემოიყვანო.

ნაციონალებმა გუშინ ერთი სასიამოვნო ამბავიც შეიტყვეს თავდაცვის სამინისტროსგან. ცოტა ხნის წინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნა, საიდანაც გავარკვიეთ, თუ რაში იხარჯებოდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გამოყოფილი თანხები.

საპარლამენტო ოპოზიციამ მაშინ გაიხსენა, რომ ირინა იმერლიშვილს ქმარმა რამდენიმე ილიონიანი ტენდერი მოიგო და ალბათ ხვდებით, როგორ გაინერვიულებდნენ თავს ამის გამო.

გუშინ გაირკვა, რომ ირინა იმერლიშვილის მეუღლის კომპანია „ფუდ ლაინ ჯორჯია“ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია „ფუდ ლაინ ჯორჯია“ სატენდერო პროცედურებიდან დაზუსტებული დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის გამო დისკვალიფიცირებული.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად სატენდერო კომისიის მორიგ შეხვედრაზე თავდაცვის სამინისტროში განიხილეს. მინისტრის მოადგილემ ზაზა ბროლაძემ, სატენდერო კომისიის წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფის ტენდერის შესახებ იმსჯელეს.

სამინისტროს ინფორმაციით, თავდაცვის უწყებამ სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის, სასადილოებისა და კვების საწარმოების მომსახურების შესყიდვების ღია ელექტრონული ტენდერი 2013 წელის 18 თებერვალს გამოაცხადა და ამჟამად, სატენდერო დოკუმენტაციის განხილვის პროცესი მიმდინარეობს.

შეხვედრაზე სატენდერო კომისიის წევრებმა ტენდერში მონაწილე კომპანიების – შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიასა“ და შპს „GMM“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია განიხილეს. განხილვის შედეგად, ორივე კომპანია სატენდერო პროცედურებიდან დაზუსტებული დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის გამო დისკვალიფიცირებულია.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სატენდერო კომისია შემდგომი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებს მიმართავს.

# კახი კალაძე: „პრეზიდენტობისთვის ასაკით ძალიან პატარა ვარ“

**კითხვაზე, იქნება თუ არა ბიძინა ივანიშვილის რჩეული კახა კალაძე საპრეზიდენტო კანდიდატი? კალაძე პასუხობს, რომ პრეზიდენტობისთვის პატარაა.**

**ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის განცხადებით, მას პრეზიდენტობასთან დაკავშირებით შეთავაზების შემთხვევაში ასაკისა და გამოუცდელობის გამო, გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდება.**

**როგორც კალაძემ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ის მზად არის, ხალხის და ქვეყნის სასარგებლოდ, ნებისმიერ თანამდებობაზე იმუშაოს.**

ნათია ხურცილავა

– პრესასა და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია ჩემს საპრეზიდენტო კანდიდატად შესაძლო დასახელებაზე, სიმართლე არ არის. როცა კოალიცია ამაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, მერწმუნეთ, რომ ის აუცილებლად ღირსეული კანდიდატი იქნება. შემოთავაზება არ მიმიღია, მაგრამ თუ იქნება, ალბათ, გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდება, რადგან ასაკით ძალიან პატარა ვარ და ნაკლები გამოცდილება მაქვს. ამჟამად ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვარ და ვეცდები, გუნდის მიერ გამოცხადებული ნდობა ყველანაირად გავამართლო. თუ გუნდი და პრემიერი გადაწყვეტს, რომ მე სადმე სხვაგან უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე ვიმუშაო, ხალხის სასარგებლოდ ყველაფრისთვის მზად ვარ. – განაცხადა კალაძემ.

ვიცე-პრემიერის კახა კალაძის მტკიცებით, „ინტერრაოს“ საინვესტიციო ვალდებულების შესრულება 2025 წლამდე აქვს.

ეს განცხადება კალაძემ გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრისას ელექტროენერგიაზე ტარიფის დაწევასთან დაკავშირებით დასმული კითხვის კომენტირებისას განაცხადა.

– მოგეხსენებათ, რომ აქტივები, რომელსაც „თელასი“ ფლობს, მხოლოდ „ინტერრაოსი“ არ არის. 25 პროცენტი სახელმწიფოსაა და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მოლაპარაკებებს, როდესაც ჩვენ ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით ჯგუფი შევქმენით, ძალიან ბევრი თემა განვიხილეთ. იყო საუბარი, იმ კუთხით წავსულიყავით, რომ თვითონ ტარიფში ცვლილება მომხდარიყო მარეგულირებელი კომისიის მხრივ, რაც გრძელვადიანი პროცესი იყო და დიდი დრო დასჭირდებოდა. მე მქონდა შეხვედრა მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ექსპერტებთან და შეიქმნა ერთიანი აზრი, რომ ჩამოგვეყალიბებინა ჯგუფი, რომელიც ამ ტარიფებზე იმუშავდებდა. მარეგულირებელი კომისიის მხრიდანაც იყო წარმოდგენილი პროვნებები, რომლებიც ტარიფის განხილვაში მუშაობდნენ. მოგეხსენებთ, ტარიფი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, ეს არის დ გენერაცია ანუ წარმოება, განაწილება და გადაცემა-დისტრიბუცია. ერთადერთი, სადაც შესაძლებლობა იყო მომხდარიყო ტარიფის შემცირება, ეს დისტრიბუცია იყო. მოგახსენებთ, თუ რატომ. პროკურატურაში ძალიან ბევრი დოკუმენტაციაა შესული იმასთან დაკავშირებით, რომ საინვესტიციო ვალდებულებები, რაც იმისთვის კეთდებოდა, რომ რეაბილიტაცია მომხდარიყო და სხვადასხვა სამუშაოები ჩატარებულიყო, ძალიან ბევრი იყო ისეთი შემთხვევა, მაგალითად, თუ შესასრულებელი სამუშაო იყო პირობითად ავიღოთ 100 ლარის, ამის გაწერა ხდებოდა 700-800 ლარი, დანარჩენი ეს თანხა სად მიდიოდა, ყველასთვის გაურკვეველია და ამასთან დაკავშირებით გამოძიება მუშაობს. – აცხადებს კალაძე.

მინისტრის თქმით, ძალიან ბევრი კითხვაა შესყიდვებთან დაკავშირებით, რადგან ტენდერებს ძირითადად, „თელასში“ მაღალ თანამდებობაზე მყოფი პირების ოჯახის წევრების კომპანიები იღებდნენ.

– როდესაც ტენდერები ხორციელდებოდა, უმეტეს შემთხვევაში მათ „თელასში“ მომუშავე, მაღალ თანამდებობებზე მყოფი ოჯახის წევრების მიერ დაფუძნებული კომპანიები იგებდანენ. ამასთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში ყველა ეს ფაქტი ცნობილი გახდება. ამით ისის თქმა მინდა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი არამიზანშეწონილი იყო. არ იმართებოდა სწორი მიმართულებით, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კომპანიისთვის აგვეხსნა რეალური სიტუაცია, რაზეც ისინიც წამოვიდნენ და ამაში ჩვენი ინტერესებიც არის, რადგან 25 პროცენტს სახელმწიფო ფლობს და ეს არა მარტო რუსული კომპანიის, არამედ თითოეული ჩვენგანის საკუთრებაცაა. ამ მიმართულებით წავიდა მოლაპარაკებები. დღეს სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ყველა საინვესტიციო ვალდებულება, რომელიც „ინტერრაოს“ ჰქონდა, ძალაში რჩება 2025 წლამდე. არშესრულების შემთხვევაში, რა დაჯარიმების წესებიც იყო, ისიც ძალაში რჩება. კონტრაქტი 2025 წლამდეა ხელმოწერილი, ანუ ვალდებულებები, რაც ჰქონდა და მათგან ძირითადი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იყო, ჩანს, რომ ამ კომპანიას ამის გაკეთების სურვილი არ გააჩნია. გააკეთებს თუ არა ამას, დაველოდოთ, როდესაც დაუსრულდება ვალდებულება და თუ არ შეასრულებს, მაშინ იმ ჯარიმების გადახდა მოუწევს, რაც ხელშეკრულებაშია ჩადებული. – განაცხადა კახა კალაძემ.

შეიძლება თუ არა, რომ ქვეყანა შუქის გარეშე დარჩეს?

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის განცხადებით, ილუზიაა იმაზე საუბარი, რომ საქართველო ერთ დღეს უშუქოდ დარჩება.

– ელექტროენერგიის მოხმარება ყოველწლიურად 5 პროცენტით იზრდება, რაც ძირითადად მოსახლეობის მიერ იხარჯება, თუმცა ილუზიაა იმაზე საუბარი, რომ ერთ დღეს საქართველო უშუქოდ დარჩება, რადგან ჩვენ პრინციპულად ვდგავართ იმ პოზიციაზე, რომ ახალი ჰიდროელექტროსადგურები აშენდეს ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით და ამ საკითხში მჭიდროდ ვთანამშრომლობთ გარემოს დაცვის სამინისტროსთან. – განაცხადა კახა კალაძემ.

მინისტრის განცხადებით, მუშაობა მიდის ისეთი დიდი ჰესების პროექტებზე, როგორიცაა „ხუდონჰესი“, „ნამახვანჰესი“ და „ნესკრა“.

საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახი კალაძე კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისთან“ დაკავშირებით მიმდინარე თვეში ყაზახეთში გაემგზავრება.

კონკრეტულად კი რა იქნება ვიზიტის მთავარი საკითხი? ამ კითხვაზე ასე პასუხობს:

– ჩვენ მზად ვართ, მოლაპარაკება ვაწარმოოთ და ამ მიზნით მიმდინარე თვეში ყაზახეთში გავემგზავრები. თუ შეთანხმებას მივაღწიეთ, მზად ვართ, კომპანიიდან დროებითი მმართველი გამოვიყვანოთ და „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ყაზახურ მხარეს დავუბრუნოთ. – განაცხადა კახა კალაძემ.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე ხნის წინ მინისტრმა გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ შესაძლოა, იმ ვალის გადათამაშება მოხდეს, რომელიც საქართველოსა და ყაზახეთს ერთმანეთის მიმართ მართებთ.

„ყაზტრანსგაზს“ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვალი მართებს, რომლის მოცულობა დაახლოებით 80 მილიონი ლარია. თავის მხრივ კი საქართველოს ყაზახეთის მიმართ საგარეო ვალდებულება აქვს, რომლის რესტრუქტურიზაცია და გადახდა წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურების შექმნაზე მუშაობა დაწყებული აქვს. ამის შესახებ მინისტრმა კახი კალაძემ ჟურნალისტის იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, რომელიც ქვეყანაში განახლებადი ენერგიის გამოყენების შესაძლებლობასა და სამომავლო პერსპექტივებს შეეხებოდა. მისი თქმით, სამინისტროს სურვილია 20-მეგავატიანი სადგურის საპილოტე პროექტის განხორციელება.

– ალბათ, ერთი წლის განმავლობაში კონკრეტულად გვეცოდინება ადგილმდებარეობა, სად არის შესაძლებელი ამ პროექტის განხორციელების შესაძლებლობა. ამას სჭირდება ქარიანი ადგილი. გვაქვს გარკვეული პარამეტრები და შესწავლა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გვაქვს დაწყებული. ასევე არის ტერიტორიები, სადაც არის ქარიანობის მაღალი მაჩვენებელი. პროექტის განხორციელების ძალიან დიდ ინტერესს ავსტრიული და თურქული კომპანიები იჩენენ. გვინდა, წილობრივად მივიღოთ მონაწილეობა ამ პროექტის განხორციელებაში. – აღნიშნა კახი კალაძემ.

მისი ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში ცნობილი გახდება, თუ როდის განხორციელდება ეს პროექტი.

რაც შეეხება მზის ენერგიას, მინისტრის განმარტებით, ამაზე საუბარიც იყო, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რადგან მისი გამოყენება საბოლოოდ მომხმარებელზე უნდა აისახოს, ანუ ტარიფი გაიზარდოს.

– ამდენად, ამჯერად არამიზანშეწონილად მიგვაჩნია მზის ენერგიის განვითარება. ჩვენ ძალიან დიდი შესაძლებლობა გვაქვს ჰიდრორესურსების გამოყენების, რომელიც დღესდღეობით ყველაზე იაფ ელექტროენერგიად რჩება. – აღნიშნა კახი კალაძემ.

# ბაჩო ახალაიას საქმიანობის შესახებ ფილმი აჩვენეს

ნათია ხურცილავა

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მხრდამჭერები სასამართლო პროცესების გარეთაც აქტიურობენ. ამჯერად ახალაიას მხარდამჭერებმა კინოს სახლი აირჩიეს, სადაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის შესახებ დოკუმენტური ფილმი აჩვენეს.

კინოს სახლში თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მხარდასაჭერად „ნაციონალური მოძრაობიდან“ ეკა ხერხეულიძის გარდა არავინ მისულა.

შეხვედრის დაწყებამდე ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნაჩვენები იქნებოდა დოკუმენტური ფილმი, სადაც საუბარი შეეხებოდა 2009-2012 წლებში ახალაიას მინისტრობის პერიოდში შეიარაღებულ ძალებში განხორციელებულ მიღწევებს.

– ბაჩო თავის მიღწევებთან დაკავშირებით საჯაროდ არასდროს საუბრობდა. ახლა გვინდა, საზოგადოებას გავაცნოთ მისი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია. – განაცხადა ნადარეიშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი გიგი კალანდაძე, სახმელეთო ჯარების ყოფილი მთავარი სერჟანტი ალექსანდრე გორგაძე, თეა თუთბერიძე და მამისი, უმცირესობის წევრი როლანდ ახალია.

როლანდ ახალაიას განცხადებით, სამართალი ურმით დადის და თავის ადგილზე მივა.

აღნიშნული განცხადება როლანდ ახალაიამ ჟურნალისტებთან მას შემდეგ გააკეთა, რაც კინოს სახლში, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მხარდამჭერთა შეკრების დასრულდა.

ჟურნალისტებმა როლანდ ახალაიას მისი მეორე შვილის, დათა ახალაიას სახელით გავრცელებული განცხადების კომენტირებაც სთხოვეს.

როლანდ ახალაია თავს იკავებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხისგან და აცხადებს, რომ ყველაფერი თავის დროზე ნათელი გახდება.

შეხვედრაზე აჩვენეს ფილმი, რომელშიც ბაჩო ახალაიას მინისტრობის პერიოდში განხორციელებულ რეფორმებზეა საუბარი.

შეხვედრის ორგანიზატორებმა იქ შეკრებილ საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მსგავსი შეკრებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც იგეგმება.

– ბაჩო ახალაია თავდაცვის სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდში მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებებს არასდროს აკეთებდა და პიარს არ მიმართავდა. დღევანდელ შეკრებაზე ჩვენ გვინდა, საზოგადოებას სწორედ აღნიშნული მიღწევები გავაცნოთ. მის მიერ განხორციელებული რეფორმები 50-წუთიან დოკუმენტურ ფილმშია აღწერილი, რომელსაც დამსწრე საზოგადოებას ვაჩვენებთ. – თქვა ანი ნადარეიშვილმა.

შეკრების მონაწილეებს სიტყვით გამოსვლის საშუალებაც ჰქონდათ.

როლანდ ახალაიამ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა ჟურნალისტებთან. საპარლამენტო უმცირესობის წევრის როლანდ ახალაიას განცხადებით, იგი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა რიგების დატოვებას არ პირებს.

გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა გიგი კალანდაძემ განაცხადა, რომ ის აპირებს სპეციალური პრესკონფერენციის გამართვას და მაშინ ის ჟურნალისტების კითხვებს უპასუხებს.

– დღეს ჩვენ საზოგადოებას გავაცანით ის მიღწევები, რომლებიც იყო 2009-2012 წლებში შეიარაღებულ ძალებში, ეს არის ახალაიას მინისტრობის პერიოდი. 14 მაისს კი მე ვგეგმავ ბრიფინგს, რომელზეც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება დასვას ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც ბაჩოს მინისტრობის პერიოდს ეხება. – განაცხადა გენერალმა კალანდაძემ.

# „რუსთაველის გამზირზე მომხდარი ინციდენტი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა“

„გუშინ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს მომხდარი ინციდენტი, რასაც აქციის რამდენიმე მონაწილის დაკავება მოჰყვა, შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართული შეგნებული პროვოკაციაა“, – განუცხადა „პრაიმერს“ შს სამინიტროს ყოფილმა მაღალჩინოსანმა.

„გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი გახლავთ შალვა ბარელაძე, რომელიც შს სამინისტროში ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის კადრად ითვლებოდა. ის იკავებდა გაფორმების სამსახურის ხელმძღვანელის ლევან სანაძის მოადგილის პოსტს. მონაწილეობდა 26 მაისისა და 7 ნოემბრის საპროტესტო აქციების დარბევაში. რაც შეეხება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს დავით ცინარიძეს, ის იყო საპატრულო პოლიციის უფროსის ვანო ბერაძის მოადგილე და ასევე მონაწილეობდა 26 მაისის დემონსტრაციის დარბევაში.“,-აცხადებს პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელმაც ამ ეტაპზე ვინაობის გამხელა არ ისურვა.

შეგახსენებთ, რომ „ლაბორატორია 1918“ მიერ გუშინ გამართულ აქციაზე რამდენიმე პირი დააკავეს. ისინი გუშინვე გაათავისუფლეს.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყებაში აცხადებენ, რომ აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ სამართალდამცველთა არაერთგზის მოწოდებას და გზის სავალი ნაწილი გადაკეტეს.

**პრაიმერი**

# გუშინდელ დარბევაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ შსს-ს მიმართავს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციასთან და დაკავებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ დღეს მშრომელთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართულ აქციაზე ორგანიზატორებსა და პოლიციელებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. თვითმხილველებზე დაყრდნობით მედია იტყობინება, რომ აქცია თითქმის დასრულებული იყო, როდესაც პოლიციამ დემონსტრანტები ქუჩის სავალ ნაწილზე გადასვლისათვის დაიკავა. დაკავებულებს შორის არიან სტუდენტური ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918-ის“ წევრები და ჟურნალ „ლიბერალის“ ჟურნალისტიც.

„გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეისწავლოს აღნიშნული ინციდენტი, კერძოდ მნიშვნელოვანია დადგინდეს:

1. უქმნიდა თუ არა რეალურ დაბრკოლებას რუსთაველის გამზირზე მოძრავ ავტომანქანებს აქციის მონაწილეთა მსვლელობა,
2. ჰქონდა თუ არა ადგილი ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან,
3. ჰქონდა თუ არა ადგილი მანიფესტაციისთვის ხელის შეშლას საპატრულო პოლიციის მხრიდან უფლებამოსილებათა გადამეტებით,
4. რამდენად ადეკვატური სანქციები იყო გამოყენებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ და შეიძლებოდა თუ არა სხვა უფრო მსუბუქი მეთოდების გამოყენება სიტუაციის დარეგულირების მიზნით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დემონსტრანტების მიერ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვა, თუმცა ამავდროულად ვფიქრობთ, რომ სამართალდამცავმა უწყებებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა უზრუნველყონ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოქალაქეთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ მეტი თმენის ვალდებულება, მათი ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს სიტუაციის ადეკვატური, ემსახურებოდეს ადგილზე მდგომარეობის განმუხტვას და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს ყველა მოქალაქის უფლებების დაცვას. ვფიქრობთ, რომ დღევანდელი აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეეძლოთ მიემართათ იმგვარი ქმედებებისთვის, რაც არ გამოიწვევდა ადგილზე სიტუაციის გამწვავებას.

**გურიანიუსი**

## შსს-მ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დაკავებული კიდევ ერთი მოქალაქე გაათავისუფლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული გიორგი დოთიაშვილი გათავისუფლდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 22 აპრილს, რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, 1938 წელს დაბადებული მწყემსი, გიორგი დოთიაშვილი გორის რაიონის სოფელ კირბალში დააკავეს.

ოსური მილიციის თანამშრომლებმა დოთიაშვილი ჯერ ღრომში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს. უკანონოდ დაკავებული გიორგი დოთიაშვილი, ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო წარმომადგენლებმა გაათავისუფლეს.

**ნიუსპრესი**

## შსს-მ ყაჩაღობაში ბრალდებულები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ყაჩაღობის ბრალდებით ირაკლი ს. და წარსულში თაღლითობისთვის ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პაატა ფ. დააკავეს.

სამინისროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2013 წლის 24 აპრილს, თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, სადისტრიბუციო ავტომანქანის მძღოლი ნუგზარ ნარინდოშვილი დააყაჩაღეს. ბრალდებულებმა მას ცივი იარაღის მუქარით 885 ლარი და მობილური ტელეფონი გასტაცეს.

სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად პაატა ფ. რუსთაველის გამზირზე, ხოლო ირაკლი ს. დიღმის მასივში დააკავეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ივალისწინებს.

**ნიუსპრესი**

# მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს შეხვდა. ამის შესახებ პრეზიდენტის ფაცებოო-ის ოფიციალურ გვერდზეა ნათქვამი.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებსაც შეხვდა. გარდა აღნიშნული შეხვედრებისა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ აშშ-ში ოფიციალური შეხვედრებიც გამართა და არიზონას შტატში, ჯონ მაკკეინის ინიციატივით გამართულ „სედონას ფორუმში“ მიიღო მონაწილეობა

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, შედგა საქართველოს პრეზიდენტსა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯოზეფ ბაიდენის შეხვედრაც .

**ნიუსპრესი**

## გოგონა შეყვარებულმა მეორე სართულის შიდა კიბიდან გადააგდო

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის შიდა კიბიდან გოგონა შეყვარებულმა გადააგდო.

აღნიშნულ ინფომაციას თსუ–ის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ადასტურებენ და აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის დაცვის სამსახურმა ეჭვმიტანილი ბიჭი შემთხვევის ადგილზე აიყვანა.

სამართალდამცველებს უკვე გადაეცათ უნივერსიტეტის სათვალთვალო კამერის ჩანაწერები, რომელზეც მომხდარია აღბეჭდილი.

„უსაფრთხოების სამსახურმა ინციდენტში ეჭვმიტანილი პირი დააკავა და გადასცა პოლიციას. პოლიციისთვის გადაცემულია ყველა ის შესაძლო მტკიცებულებაც, რომელიც ამ საქმის გამოძიებას და გახსნას დაეხმარება,"– განაცხადა თსუ–ის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გიორგი გორაშვილმა.

არსებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

რაც შეეხება დაზარალებული გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობას, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება და ამ წუთებში რესპუბლიკური საავადმყოფოს ემერჯენსის განყოფილებაში გადაუდებელი ოპერაცია უტარდება.

**ფრონტნიუსი**

# მაგთიკომმა სახელმწიფო კონსოლიდირებულ ტენდერში კვლავ გაიმარჯვა

*...კავშირი თქვენს სამყაროსთან*

***არ გამართლდა კონკურენტების იმედი, იმის შესახებ, რომ პრაქტიკულად ნულოვანი ტარიფით მაგთიკომი ვერ შეძლებდა დიდხანს „გაქაჩვას“ და ტენდერში მოგების შანსს ვინმეს დაუთმობდა. პირიქით, მაგთიმ მართლაც რომ შანსი არ დაუტოვა კონკურენტს, სატენდერო პირობები შეინარჩუნა და, შესაბამისად, სამი თვის შემდეგ მეორედ იზეიმა გამარჯვება. რასაკვირველია, არც ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს შეუკვეცავთ მოთხოვნები. ტენდერში გამარჯვებამ კიდევ მეტად განამტკიცა მაგთიკომის ლიდერის პოზიციები და წარმოაჩინა მისი შესაძლებლობები საკომუნიკაციო ბაზარზე.***

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის მიხედვით ფიჭური მომსახურება შესყიდვების საგანი 2013 წლის 1 იანვრიდან გახდა. შესაბამისად 2012 წლის დეკემბერში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერი გამოაცხადდა. წარმატებისთვის „მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“ მეტოქეობდნენ. გამარჯვებულ კომპანიას უნდა დაეკმაყოფილებია სატენდერო მოთხოვნები და შეეთავაზებია საუკეთესო ფასი. ტენდერში მონაწილეობის პირობებს შორის ძირითადი გაახლდათ დაფარვის არეალი – მოთხოვნა იყო, რომ საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 96 %-ზე მეტის დაფარვა; ამ ჯგუფის წევრებისთვის აბონენტთა მომსახურების ცენტრთან დაკავშირების პრიორიტეტი; მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტ-მომსახურება; ბლექბერი სერვისი და კავშირის მაღალი ხარისხი. გამარჯვებულად გამოცხადდებოდა ის კომპანია, რომელიც ყველა ამ პირობას დააკმაყოფილებდა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საუკეთესო, ყველაზე დაბალ ფასს შესთავაზებდა მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი დანაზოგი გააკეთა მობილური კავშირგაბმულობის ხარჯების მხრივ. ტენდერის ახალი პირობებით, იმ ჯგუფში, რომელსაც „მაგთიკომი“ ემსახურება, სავალდებულოა ჩართვა ყველა ორგანიზაციისთვის, რომელიც დარეგისტრირებულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

პირველი ტენდერი 3 თვის ვადით გამოცხადდა. თვით მაგთიკომშიც აღნიშნავდნენ, რომ ვინაიდან მანამდე მსგავსი პრაქტიკა არ არსებობდა, საჭიროდ თვლიდნენ, პრაქტიკულად მოესინჯათ – არა ტექნიკური შესაძლებლობები (მათ ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ), არამედ პროექტის შედეგიანობა – თუ რა კომერციული მოგების, ან სხვა რა უპირატესობის მომტანი იქნებოდა ფაქტობრივად ნულოვანი ტარიფით დამატებით 150 ათასზე მეტი აბონენტის მომსახურება.

**ირაკლი ლობჟანიძე, „მაგთიკომის“ მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორი:**

– როგორც წინა ტენდერში, ამჟამადაც მოთხოვნა იყო დაფარვის არეალი, რომელიც „მაგთიკომის“ შემთხვევაში დასახლებული ტერიტორიის 98 პროცენტს შეადგენს. ჯგუფის წევრებისათვის აბონენტთა მომსახურების განყოფილებასთან დაკავშირების პრიორიტეტი, აგრეთვე მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტ-კავშირი - ქსელის უზრუნველყოფით, „ბლექბერი“ სერვისი, კავშირის მაღალი ხარისხი და რაც მთავარია, ფასები. მოგეხსენებათ, წინა ტენდერი გამოცხადებული იყო 3 თვის ვადით. ამ პერიოდში „მაგთიკომმა“ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია და აქვს პოტენციალი, მოემსახუროს დიდი რაოდენობით მომხმარებელს განსაკუთრებული სატარიფო პირობებით, რომელიც ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, ნულოვან ტარიფს გულისხმობს. გარდა ამისა, ამ 3 თვის განმავლობაში „მაგთიკომმა“ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიციები მობილურ ბაზარზე – გასული წლის დეკემბერთან შედარებით, ჩვენი ბაზრის წილი 4 პროცენტით გაიზარდა. ასევე, „მაგთიკომის“ ქსელში ჯამში 160 ათასი აბონენტია დაპორტირებული, რაც უდიდესი მაჩვენებელია სხვა ოპერატორებთან შედარებით.

***– კომერციული თვალსაზრისით რამდენად მომგებიანი იყო პირველი სამი თვე?***

– ასეთი ტიპის პროექტებისთვის წმინდა ფინანსური კუთხით შეხედვა, „მაგთიკომის“ მენეჯმენტის აზრით, არასწორია. კი, არის ასეთი კაზუსი, რომ წაგებულმა კომპანიამ რეალურად უფრო მეტი შემოსავალი ნახა ამ 3 თვის განმავლობაში. მოგეხსენებათ, ურთიერთჩართვის ტარიფი 8 თეთრს წარმოადგენს და როდესაც „მაგთიკომის“ მხრიდან უფასოა ამ ქსელზე დარეკვა, რა თქმა უნდა, მეტად ვიხარჯებით. გარდა ამისა, ის თანხები, რომელიც მოგებულმა კომპანიამ უნდა გაიღოს იმისთვის, რომ ქსელის პერმანენტული ოპტიმიზაცია, განვითარება და გაფართოება მოახდინოს... წაგებულ კომპანიას არც ეს ხარჯი აწევს. ჯამში, ფინანსური კუთხით შეიძლება უფრო მომგებიან პოზიციაში იყოს წაგებული კომპანია, მაგრამ „მაგთიკომისთვის“ ამ ტენდერში გამარჯვება პრესტიჟის საკითხია და ბაზრის ლიდერი კომპანიისთვის მოკლევადიანი ფინანსური კეთილდღეობა ამოსავალი წერტილი არ არის.

„მაგთიკომის“ კორპორატიული რეალიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის დირექტორის ნიკოლოზ დავითაშვილის განცხადებით, „მაგთიკომის“ აბონენტთა რიცხვის მკვეთრი ზრდა მომსახურებისა და კავშირის ხარისხზე არ იმოქმედებს.

**ნიკოლოზ დავითაშვილი, „მაგთიკომის“ კორპორატიული რეალიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი:**

– აბონენტების მატების შედეგად, ძველი მომხმარებლები ნამდვილად არ დაზარალდებიან. მობილური კავშირგაბმულობა არ არის ფიქსირებული კავშირი, რა თქმა უნდა, ქსელი მუდმივად საჭიროებს გაფართოებას, მოდერნიზაციას. ყველას ახსოვს, რომ 15 წლის წინ ჩვენ დავიწყეთ GSM, შემდეგ ჩაირთო GPRS, დღეს HSPA+ ტექნოლოგიაა, ანუ ქსელის მოდერნიზაცია ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. შესაბამისად, შეიძლება სადღაც ლოკალურად, ძალიან მცირე დროით აღინიშნებოდეს რაღაც პატარა ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია ზოგადად, ქსელის განვითარებასთან, თუმცა ხარისხი რა თქმა უნდა, არ გაუარესდება. უფრო მეტიც, მინდა მოგახსენოთ, რომ უახლოესი 2 წლის განმავლობაში „მაგთიკომი“ 100 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს ქსელის გაფართოებისთვის, ტექნოლოგიური მოდერნიზებისთვის და ასე შემდეგ. შესაბამისად, ხარისხის კუთხით „მაგთიკომი“ როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

დღეისათვის „მაგთიკომი“ საკომუნიკაციო ბაზარზე ხუთი (მაგთი, ბალი, ბანი, მაგთიფიქსი, მაგთისატი) ბრენდითაა წარმოდგენილი, 2.8 მილიონ მომხმარებელს ემსახურება და შესაძლებლობას აძლევს ერთდროულად ისარგებლონ, როგორც მობილური, ისე ფიქსირებული ტელეფონიით, მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტითა და თანამგზავრული ტელემაუწყებლობით.

***ანა ვაჩნაძე***

# გიორგი თევზაძე: „ქართული მიწების გასხვისება უნდა შეწყდეს“

გულიკო ბალაძე

**ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი თევზაძემ შეაფასა წინა ხელისუფლების პერიოდში უკანონო სატელეფონო მოსმენების, ძალოვანი სამსახურების თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების პრაქტიკა.**

**გიორგი თევზაძე ამბობს, რომ ცალკეულ მოქალაქეებს პრეტენზიები აქვთ ზოგიერთი პოლიციელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით. ამიტომ აუცილებელია მოხერხდეს ძალოვანი სამსახურების საქმიანობაზე ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის შექმნა.**

**გიორგი თევზაძის განცხადებით, ასევე აუცილებელია სამართლებრივად გაკონტროლდეს ქართული მიწის ბაზარი, რომ ქართული მოსახლეობა არ აღმოჩნდეს მიწების გარეშე საკუთარ სამშობლოში.**

***– ბატონო გიორგი, როგორც უფლებადამცველს, რა დამოკიდებულება გაქვთ წინა ხელისუფლების პირობებში განხორციელებულ ტოტალურ, უკანონო მოსმენებსა და მასზე შექმნილი არქივის განადგურების აუცილებლობასთან დაკავშირებით?***

– ჩვენ ვგმობთ უკანონო მოსმენების დამკვიდრებულ სამწუხარო პრაქტიკას, როცა წინა ხელისუფლების დროს მასობრივად ხდებოდა ფუნდამენტური საერთაშორისო უფლებებისა და კონსტიტუციური უფლების ხელყოფა, როცა ილახებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და კონფიდენციალურობის უმნიშვნელოვანესი უფლება. ეს ფაქტი დასაგმობია. ამ ვითარების ფონზე მისასალმებელია მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკური ნება – მიდგომა, რომელიც ადასტურებს წინა ხელისუფლების პირობებში შექმნილი მანკიერი პრაქტიკის შედეგების დასრულებასა და არქივის განადგურების, რაც გამჟღავნდა აღნიშნულ თემაზე მიმდინარე წლის 29 აპრილს არასამთავრობო სექტორთან გამართულ შეხვედრაზე. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს შს მინისტრმა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებმა. მათ შორის, მიმიწვიეს მეც, როგორც ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრ-ორგანიზაციას. კარგი და ცუდი ხელისუფლება არ არსებობს. მსგავსი პრაქტიკა ლოგიკურად წარმოადგენს ნებისმიერი ხელისუფლების ბერკეტს, აკონტროლოს საზოგადოება უკანონო ფორმით და არაერთი მნიშვნელოვანი უფლების უხეში დარღვევით. ამდენად, აუცილებელია არა მარტო არსებული უკანონო მოსმენებით შექმნილი არქივის განადგურება, არამედ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ საზოგადოებისთვის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი პრეცედენტები აღარ განმეორდეს. ოპერატიული მოსმენისა და მიყურადების სამართლებრივი გზები კონკრეტულადაა რეგლამენტირებული მოქმედი კანონმდებლობით. აღნიშნული პროცესი სრულიად ლეგალურად შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობის დაცვით, რომელიც ყველა თანამდებობის პირის ვალდებულებაა. ასეთ შემთხვევებშიც აუცილებელია არსებობდეს მოსმენის და მიყურადების პროცესის დასრულების, ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგისა და გარკვეული პერიოდულობით შექმნილი არქივის განადგურების ეფექტური მექანიზმი. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ ისწავლოს კანონის უზენაესობის დაცვა და საკუთარი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა ვიკისროთ.

***– წლების განმავლობაში თქვენ გიწევდათ სასამართლოებთან ურთიერთობა. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებებსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალ რეგულაციებს თუ ემხრობით?***

– ეს მნიშვნელოვანი პროცესია. შეიძლება ამ პროცესმა, გარკვეულწილად, ისტორიული მნიშვნელობა შეიძინოს, რადგან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, რეალურად, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება შექმნას. თანაც ისე, რომ არ იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე. თუმცა, ამ პროცესის შეუქცევადობისათვის აუცილებელია თან სდევდეს ხელისუფლების შესაბამისი პოლიტიკური ნება, რომ არ გაუჩნდეს პოლიტიკური ჩარევის ცდუნება. საქართველოს ისტორიაში ეს იქნება პირველი პრეცედენტი, როცა სასამართლო ხელისუფლება შეიძენს თვითმმართველი სუბიექტის სტატუსს და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცემა სასამართლო ხელისუფლებასთან არსებითად დაკავშირებულ სუბიექტებს. მათ შორის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც, სამწუხაროდ, მრავალი წლის მანძილზე განიხილებოდა, როგორც მხოლოდ პროცესის ფორმალური მონაწილედ, რაც დაუშვებელი, უსამართლო და არადემოკრატიული დამოკიდებულება იყო. ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი სეგმენტის – ადვოკატთა კორპუსის დამოუკიდებლობა და მისთვის რეალური სამართლებრივი ბერკეტების მიცემა, რომლის გარეშეც დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო ხელისუფლება ვერ იარსებებს. ეს არის მთელი რიგი კომპლექსური სამუშაოს ნაწილი, რომელიც მოიცავს შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებს, საზოგადოებაში სასამართლოსა და ადვოკატის ავტორიტეტის ამაღლებას, საჭიროებს სათანადო ინფრასტრუქტურულ და ტექნიკურ მხარდაჭერას ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებისათვის. ამ პროცესების მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს ადვოკატთა კორპუსისათვის იმ სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ შეჯიბრებითობას წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში.

***– ბოლო პერიოდში ქართული მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მასობრივად გასხვისების ფაქტები დაფიქსირდა. ამ ვითარებაში საქართველოს მოქალაქეების უფლებები ხომ არ ირღვევა?***

– სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოება გამოფიზიზლდა და გამოთქვამს პროტესტს ქართული მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მასობრივად გასხვისებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროტესტს უერთდებიან როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ასევე არასამთავრობო სექტორის გარკვეული ნაწილიც. ასევე უმნიშვნელოვანესია, რომ პროტესტმა გარკვეული შედეგი გამოიღო. დაიწყო აქტიური მსჯელობა საზოგადოებაში. საზოგადოების მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, კერძოდ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, წინა ხელისუფლების პირობებში, თბილისის მერიის მიერ ჩინელი „ინვესტორებისთვის“ მიწის მიყიდვაზე, რომლის ნაწილი საპატრიარქოს ეკუთვნის, ხოლო ნაწილი – მოსახლეობას. ხელშეკრულება, მიწის ნასყიდობისა და ინვესტირების შესახებ, 2012 წლის 30 მარტს გაფორმდა ინვესტორსა და ქართულ მხარეს შორის. ქართულ მხარეს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობა, პრემიერ ნიკა გილაურის სახით და თბილისის მერია – გიგი უგულავას სახით. ინვესტორს წარმოადგენს სამი ჩინური კომპანიის ერთობლივი წარმომადგენელი ჯანგ ძუნი. ხელშეკრულების მიხედვით, ქართულმა მხარემ ინვესტორებს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 420 ჰექტარი ტერიტორია 12000 ლარად მიყიდა. მასში შევიდა საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული 6 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით. ინვესტიციის მიერ მილიონობით დოლარის ინვესტირების არგუმენტიც კი არ ამართლებს ამ სახის გადაწყვეტილებებს, რომელიც, ჯერ ერთი, ქართული საზოგადოებისაგან მალულად განხორციელდა და – მეორე – სხვისი ქონების წართმევის ხარჯზე. ასეთი ფორმით და შინაარსით მიღებული გადაწყვეტილებები ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება სახელმწიფოებრივ მიდგომად. პირიქით, ასეთი მოქმედება თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართველების ინტერესების ხელყოფად. სულ მცირე, მსგავსი გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს საზოგადოებრივი განხილვისა და ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე. საგანგაშოა ასევე გავრცელებული ინფორმაციები ინდოელებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ, ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთების გასხვისების თაობაზე. ეს ყველაფერი ხდება ქართველი მოსახლეობის შევიწროებისა და მათი კანონიერი უფლებების უხეში დარღვევის ხარჯზე. ამ გადაწყვეტილებებით, უცხოელებს ეძლევათ შესაძლებლობა, ქართველი ადგილობრივი მოსახლეობა არ დაუშვან საძოვრებსა და სხვა სავარგულებზე. გარდა ამისა, როგორც დამკვიდრებული პრაქტიკით იკვეთება, უცხოელებზე მიწების გასხვისების ოპერაციები საეჭვო სქემებით ხორციელდება. ხშირად ხდება საეჭვო პირობებში კერძო ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ მიწების შესყიდვა, შემდგომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხოურ კომპანიებზე მისი გასხვისება. თითოეული ასეთი ფაქტი საფუძვლიანი გამოძიების საგანს წარმოადგენს. პროცესების დარეგულირებისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, გამოცხადდეს მორატორიუმი მიწების თავისუფალ გასხვისებაზე, სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნამდე და ქართული მიწის ბაზრის საერთაშორისოდ მიღებულ რეალურ ფასებში დარეგულირებამდე. დღევანდელი არასახარბიელო ვითარება იმითაცაა გამოწვეული, რომ საქართველოში არ არსებობს მიწის ბაზარი. მსგავსი დაბალი ფასი, რაც საქართველოშია, არსად მოქმედებს. ამას ემატება არასახელმწიფოებრივი მიდგომები სახელმწიფო უწყებების მხრიდან და ქართული მოსახლეობის შეჭირვებული მდგომარეობა. ამდენად, აუცილებელია ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მორატორიუმი, განსაკუთრებით, უცხოელებზე მიწის გასხვისების შეზღუდვის მიზნით, საკითხის მასშტაბურ დარეგულირებამდე.

***– წინა ხელისუფლების პერიოდში პოლიცია უკანონოდ აკავებდა ადამიანებს, დღეს რა შეიცვალა ამ მხრივ?***

– რა თქმა უნდა, ამ მხრივ ვითარება შეცვლილია უკეთესობისკენ. თუმცა, ცალკეული ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ამ მხრივ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. საკადრო პოლიტიკა ყველა ხელისუფლების აქილევსის ქუსლია, რადგან, როგორც წესი, ძველი ინერციის გაგრძელებას წარმოადგენს. ვრწმუნდებით, რომ ჩვენს ადრინდელ ინიციატივას, ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს სისტემის საზოგადოებრივი მონიტორინგი. პოლიციელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავის მოქმედებებზე პასუხს აგებს არა მარტო სისტემის, არამედ საზოგადოების წინაშე, არამედ მისი მოქმედების კანონიერების გაკონტროლება ხორციელდება, ნაკლებად იფიქრებს უფლებამოსილების გადამეტებასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. რითაც აღმოიფხვრება დაუსჯელობის სინდრომი.

# კობა დავითაშვილი ახალ შარში გაეხვა

## ქუთაისის პარლამენტის წინ „ოცნების“ მაისური დაწვეს

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატი კობა დავითაშვილი შარსა და სკანდალს მაგნიტივით იზიდავს. მისთვის შარიანი გამოდგა გუშინდელი დღეც. დეპუტატს ქუთაისელი ნაციონალები შემოელანძღა.

ქუთაისის პარლამენტის შენობის წინ გუშინ პატარა მასშტაბის აქცია მოეწყო. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ, რომ პარლამენტის შენობა ქუთაისში დარჩენილიყო. აქციის ორგანიზატორთა თქმით, ამ მოთხოვნით ისინი აქციებს მომავალშიც გამართავენ.

– ქუთაისში ხშირად გაიმართება ეს აქციები, რომ პარლამენტი დარჩეს ქუთაისში და ქუთაისს მიეცეს განვითარების საშუალება. ქუთაისის განვითარებისთვის პარლამენტი ერთადერთი შანსია, – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

ქუთაისზე მოამაგენი კობა დავითაშვილის გამოჩენამ გააწიმატა. გაწევ-გამოწევა დეპუტატის რეპლიკას მოჰყვა.

– ვაი, თქვენს პატრონს, თქვე ნაციონალებო. ვაი, ვაი, – მიაძახა დავითაშვილმა ქუთათურებს.

მათ დეპუტატის რეპლიკა უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. ისინი დავითაშვილს ნავერწილეს, რუსეთუმეს და ივანიშვილის ფულის მონას ეძახდნენ. დეპუტატიც არ დარჩა ვალში, მან აქციის ერთ-ერთ მონაწილეს უცენზურო სიტყვა უწოდა და დაპირდა, რომ მართლმსაჯულება აღსრულდება ყველას მიმართ და მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

–სამარცხვინო ხალხი ხართ, გრცხვენოდეთ. ეს აქცია არა უბრალო მოქალაქეების, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის დაგეგმილი“, – აღნიშნა დავითაშვილმა.

პარლამენტის შენობასთან გუშინ კიდევ ერთი აქცია მოეწყო. ადგილობრივმა მკვიდრმა, ფირუზ ბერაძემ „ქართული ოცნების“ მაისური დაწვა. ბერაძე ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, გუშინ მიიღო გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პარტიიდან გავიდეს და, შესაბამისად, „ქართული ოცნების“ ატრიბუტიკა დაწვას.

მისივე თქმით, პროტესტის ეს ფორმა იმიტომ აირჩია, რომ სამართლიანობის აღდგენას ვერ მიაღწია.

# თავდაცვის აკადემიაში ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსი დასრულდა

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მსმენელებმა ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსის გავლა დაასრულეს. კურსი 11 თვის მანძილზე გრძელდებოდა და მასში საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფის სერჟანტ-კაპრალები მონაწილეობდნენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, კურსზე ჩარიცხული 84 სამხედრო მოსამსახურიდან, დასრულება მხოლოდ 48 მსმენელმა შეძლო. მომზადების გავლის შემდეგ მათ ოფიცერთა პირველადი სამხედრო წოდება, – „ლეიტენანტი“ მიენჭათ.

ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსის ფარგლებში, მსმენელებს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდათ. სამხედრო მოსამსახურეებმა საერთო-საჯარისო ტაქტიკა, საცეცხლე მომზადება, სამხედრო ტოპოგრაფია და კავშირგაბმულობა შეისწავლეს.

წარჩინებულ მსმენელებს დიპლომები დღეს გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ გადასცა.ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსის დასრულების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეები საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

**ნიუსპრესი**

# სოფლის მეურნეობის სამინისტრო 10 მეწარმის დაკავებასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

„როგორც საზოგადოებისთვის დღეს გახდა ცნობილი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სახელმწიფო ქონების თაღლითური გზით დაუფლების ბრალდებით 10 მეწარმე დააკავეს.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მეშვეობით ორი მნიშვნელოვანი პროექტი: მცირე-მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ პროექტის დაწყებისთანავე მასში ჩართვის საშუალება მიეცა ყველა მეწარმეს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის რეალიზაციას ახორციელებს. მთლიანობაში პროექტში მონაწილეობს 810 სავაჭრო ობიექტი. მეწარმეებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, სადაც მკაცრად განისაზღვრა მხარეების პასუხისმგებლობა და ფუნქცია-მოვალეობები.

აღნიშნული პროექტების დაწყების დღიდან სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში შეიქმნა და აქტიურად მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც პროცესში ჩართული ყველა მონაწილე მხარის მიერ ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებს“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციითვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგის ჯგუფი ხარვეზებისა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, რეაგირებას ახდენს დამრღვევის მიმართ წერილობითი გაფრთხილების, დაჯარიმებისა და მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტის საშუალებით.

„პროექტის დაწყებიდან დღემდე სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ არაერთხელ აცნობა საზოგადოებას და მედიას, მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ. მთლიანობაში სხვადასხვა დარღვევის გამო დაჯარიმდა პროექტში მონაწილე 27 მეწარმე“ – აცხადებენ სამინისტროში.

**ნიუსპრესი**

# 22-28 აპრილის ჩათვლით პერიოდში 397 პირობითი მსჯავრდებულია ამნისტირებული

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2013 წლის 22 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით პერიოდში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს აღრიცხვაზე მყოფი 397 პირობით მსჯავრდებულია ამნისტირებული.

როგორც „ნიუსპრესს“ სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურიდან აცნობეს, ამნისტირებულთა შორის, პირობითი მსჯავრი – 252 პირობით მსჯავრდებულს მოეხსნა, 66 მსჯავრდებულს – მსჯავრი გაუნახევრდა, ხოლო 79 პირობით მსჯავრდებულს მსჯავრი შეუმცირდა .

ამნისტირებულ 397 პირობით მსჯავრდებულს შორის 108 – ნაკლებად მძიმე, 210 – მძიმე და 79 – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იყო მსჯავრდებული.

**ნიუსპრესი**

# პროფკავშირებმა „შრომის კოდექსს“ პანაშვიდი გადაუხადეს

მერი ნამორაძე

გუშინ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე სიმბოლურად პირველ საათზე თბილისში, პარლამენტის შენობის წინ აღნიშნა. უფრო სწორად, პანაშვიდი გაუმართა მოქმედ შრომის კოდექსს და მისი კრემაცია მოახდინა. თაკარა მზეში ამ პროცესზე დასასწრებად ორასამდე ადამიანის შეკრება მოხერხდა, თუმცა შინიდან, ალბათ, გაცილებით მეტი უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლებული თუ ანაზღაურებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მსურველი გულშემატკივრობდა პროფკავშირს. ლოზუნგებით – „ვითხოვთ ზეგანაკვეთურ შრომის ანაზღაურებას“, „შეწყდეს დასაქმებულთა დაცირება ფოსტაში“, „სამართლიან სასამართლოში სამართლიანი ხელფასები“ , სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა პროფკავშირები შეიკრიბნენ იმის სათქმელად, რომ პროფკავშირების დამსახურებით მსოფლიოს მილიონობით ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაზრდამ ხელი შეუწყო საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, ინდუსტრიული ბაზრის სწრაფ განვითარებას და მრეწველობის წარმოუდგენლად მაღალ დონეზე აყვანას. აქციის მონაწილეებს გუშინ შეუერთდნენ სტუმრები გერმანიის პარლამენტიდან და ფინეთის პროფკავშირებიდან.

საპირველმაისო მანიფესტში პროფკავშირმა აღნიშნა, რომ 9 წლის განმავლობაში ნაქადაგებმა ლიბერტარიანულ-ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ განიცადა რა სრული კომპრომეტაცია, დაგვიტოვა დანაწევრებული სახელმწიფო, სოციალურ-კლასობრივი დაპირისპირების ზღვრამდე მიყვანილი და სიღატაკეში მყოფი საზოგადოება. ყოფილი მთავრობის „დამსახურებების ვრცელ სიას“ ემატება მისი უკიდურესად ანტიდემოკრატიული მმართველობის გამო ევროკავშირისა და საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის ნდობის შერყევა. საბედნიეროდ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გზა გაუხსნა უახლეს წარსულში დაშვებული მრავალი უხეში შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობებს. ქვეყანაში ყალიბდება დისკრიმინაციისგან თავისუფალი პრულარისტული პოლიტიკური გარემო, რამაც გასაქანი უნდა მისცეს შეხედულებებისა და მოქმედებების მრავალფეროვნებას. სხვადასხვა სფეროში საქართველოს პროფკავშირული მოძრაობა გეგმავს, თავისი წვლილი შეიტანოს ეკონომიკური განვითარების, სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის ბაზრის მიმართულებით პოლიტიკური დისკუსიის წარმართვაში. ამისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ახალი მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში, ჯანდაცვისა და დასაქმების სტრატეგიებში“.

როგორც საქართველოს პროფკავშირის თავმჯდომარემ, ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, პირველი მაისი არის დღე, როდესაც დასაქმებული უნდა გამოდიოდეს და აყენებდეს იმ პრობლემებს, რომელიც მას აწუხებს და ითხოვდეს მათ მოგვარებას. მისი თქმით, ყველაფერი კეთდებოდა, რომ ეს დღე არ აღნიშნულიყო, რომ ზოგადად პროფკავშირი არ ყოფილიყო ქვეყანაში, მაგრამ ვითარება შეცვლილია:

– როგორც ხედავთ, ცოცხლებიც ვართ, შრომის კანონმდებლობასაც ვცვლით და ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო იზრდება და ძალას იკრებს. ბოლო გამოკითხვები და 26%-იანი ნდობა ამ ინსტიტუტისა ნიშნავს, რომ თანმიმდევრული იყო ეს ორგანიზაცია, როცა სამხილებელი იყო – ამხელდა, როცა არის მხარდაჭერა, მხარდაჭერას გამოხატავს და ყოველთვის არის ორიენტირებული დასაქმებულთა უფლებებზე. ბუნებრივია, რაც უფრო მასშტაბურად აღნიშნავს ამ დღეს დასაქმებული და გაითავისებს მის მნიშვნელობასა, ამ ქვეყანაში სოციალური და შრომითი პრობლემები კიდევ უფრო მეტად იქნება მოგვარებული. ფაქტია, რომ ევროპისკენ სავალი გზა გადის პროფკავშირებზე, რადგან პროფკავშირი არის ევროპული კულტურის ნაწილი. ევროპასთან დაახლოება არ ნიშნავს სახელმწიფო უწყებების თავზე მოფრიალე დროშებს. არამედ საქმე უნდა გვქონდეს სტანდარტებთან, იმ ნორმებთან, რაც ევროპაში დიდი ხანია დამკვიდრებულია, – განუცხადა ჟურნალისტებს პეტრიაშვილმა.

როგორც პეტრიაშვილმა აღნიშნა, წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ევროპას დავშორებოდით. დღეს ევროპასთან დაახლოების შანსი არსებობს, მაგრამ არსებობს კიდევ საფრთხეები:

– დღეს ევროპასთან დაახლოების შანსი არსებობს, მაგრამ არ მინდა, ახალი მთავრობა მოექცეს ვიღაც ბანანის შემომტანების, ქათმის ბარკლების შემომტანების რიტორიკის წნეხის ქვეშ. თუ ეს ადამიანები დატოვებენ საქართველოს, მე პრობლემა არ მაქვს. მირჩევნია, ასეთი ტიპის ადამიანებმა, ფადი ასლისნაირმა ადამიანებმა დატოვონ საქართველო, ვიდრე მილიონმა ქართველმა დატოვოს საქართველო და ფადი ასლებს შევუქმნათ აქ კომფორტი. ეს კარგად უნდა გაითავისოს მთავრობამ.

„ახალი თაობა“ სხვადასხვა სფეროს პროფკავშირის წარმომადგენლებს გაესაუბრა:

**მანანა გელაშვილი, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:**

– საზოგადოებამ იცის, რომ პარლამენტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს შრომის კოდექსში, რითაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება დასაქმებულთა შრომის პირობები. ასევე უმჯობესდება საშვებულებო ვადა, მთელი რიგი საკითხებია, დარეგულირებული, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2006 წელს მიღებული შრომის კოდექსით. დღეს ჩვენ ორგანიზებას ვუკეთებთ ყველა სფეროში დასაქმებულებს, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია შრომის კოდექსი. დღეს ძველ შრომის კოდექსს სიმბოლურად დავწვავთ და წყალს გავატანთ, რომელიც მონობას ამკვიდრებდა. მკვეთრად იყო შეზღუდული მშრომელთა უფლებები და ძალიან იყო გაზრდილი დამსაქმებლის ინტერესები. არ ხდებოდა მუშაკთა გაფრთხილება შესაძლო გათავისუფლების შესახებ, იყო მოკლევადიანი და ზეპირი ხელშეკრულებები. დამსაქმებელს უფლება ჰქონდა, დაექირავებინა ადამიანი, მთელი დღის განმავლობაში ემუშავებინა, საღამოს გამოეცხადებინა, რომ აღარ სჭირდებოდა მისი მომსახურება და აღარც აენაზღაურებინა ის ნამუშევარი.

*– თქვენ ტრაფარეტზე გიწერიათ – სამართლიან სასამართლოში სამართლიანი ხელფასები, დაბალ ანაზღაურებას აპროტესტებთ სასამართლოში?*

– საერთოდ, საჯარო მოსამსახურეები მაღალანაზღაურებად კატეგორიას მიეკუთვნებიან საბანკო სექტორის შემდეგ, მაგრამ არიან მთელი რიგი დაბალი კატეგორიის მუშაკები, რომლებსაც 400 ლარი აქვთ ხელფასი. საერთო სასამართლოებში მომუშავეებსა და აპარატში მომუშავეებს ვგულისხმობ. ხდება მოსამართლეების პრემირება 100%-ით და დაბალანაზღაურებადი მუშაკების პრემირება მხოლოდ 50 %-ით. ეს დისკრიმინაციაა.

**თამაზ დოლაბერიძე, საქართველოს მეტალურგთა, მეშახტეთა და ქიმიკოსთა პროფკავშირის თავმჯდომარე:**

– დღეს გაიმართა მოქმედი შრომის კოდექსის პანაშვიდი და კრემაცია, რომელიც გვაშორებდა ევროპულ სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ წინა მთავრობა გვიმტკიცებდა, ეს იყო ევროპისკენ გზა და 19 აპრილს ეს გაიმეორეს კიდევ, რომ თურმე ცვლილებებით საქართველო შორდება ევროპას, ეს არის მტკნარი სიცრუე. პირიქით, მინდა ვთქვა, რომ შრომის კოდექსში შედის ცვლილებები, რომლითაც ერთ პატარა ნაბიჯს ვდგამთ ევროპული სტანდარტებისკენ. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა მთლიანად არ აწესრიგებს შრომით პროცესებს, რადგან კვლავ რჩება მონათმფლობელური აზროვნება დამსაქმებლებისა – ნაკლები დანახარჯებით მეტი მოგების მიღება. შრომის დაცვის ინსპექციის არარსებობა, ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის არარსებობა, კვლავ რჩება პრობლემად და ყველა დასაქმებულს მოვუწოდებთ სამომავლო ბრძოლებისკენ, ყველა ვიყოთ მხნედ, რადგან დამსაქმებლები ძალიან ბევრ საწარმოში აგრძელებენ მუშებზე ზეწოლას, დევნას, იდევნება თავისუფალი აზრი, შრომით პრობლემებზე საუბარი. გუშინდელ მაგალითს გეტყვით, რომ ფოთის მეტალურგიული ქარხნიდან 13 ადამიანია გათავისუფლებული მხოლოდ იმიტომ, რომ პროფკავშირული ორგანიზაციის ორგანიზატორები არიან და 25 მარტის გაფიცვის ორგანიზატორები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ცვლილებები, რომელიც კოდექსში ახლა შედის, არ არის საკმარისი და პროფკავშირი აგრძელებს ბრძოლას.

*– წევრები თუ ემატება პროფკავშირს?*

– პირველი ოქტომბრის შემდეგ და ჩვენი მუშაობის ცოტა სხვა რელსებზე გადასვლის შემდეგ არის რამდენიმე ათასიანი მატება და ვითარება ლაგდება. წინა ხელისუფლება იჩემებდა ნეოლიბერალობას, ბაზრის თავისუფლებას და ასე შემდეგ. მოქალაქე იყო მეათეხარისხოვანი მათთვის. ჩვენ ვამბობთ, რომ ქვეყანაში თუ რამე მოხდება – ახალი ინვესტიციების შემოდინება იქნება, მშენებლობა თუ რაიმე საზოგადოებრივი პროცესი, ეს უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქის კეთილდღეობას.

**ჯონი ჯანაშია, მედმუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე:**

– მთავარი პრობლემა არის უმუშევრად დარჩენილი ხალხის იმედის დღე, რომელიც იმედით შესცქერის ახალ მთავრობას. ძალიან მალე უნდა შეიცვალოს ყველაფერი უკეთესობისკენ. დღეს მედიცინის მუშაკებს მაინცდამაინც არ ეზეიმებათ და არ ედღესასწაულებათ, რადგან მრავალი სამედიცინო ობიექტი და საავადმყოფო კვლავაც რჩება სადაზღვევო კომპანიების მართვის ქვეშ, რომლებიც მაქსიმუმს იღებენ ხელისუფლებისგან, ვგულისხმობ ფინანსებს და მინიმუმს ხარჯავენ მოქალაქეებისთვის და ექიმებისთვის. შეიძლება ექიმს ჰქონდეს 25 და 30 ლარი ხელფასი? რეალურად არის ასეთი საავადმყოფოები. მაგალითად, ამბროლაურში, ონში, სადაც ექიმის ხელფასი ამ თანხას არ აღემატება და ეს კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ არავის იმედად დარჩენა არ შეიძლება. მოვუწოდებ მთელი საქართველოს მედიცინეს მუშაკებს გაერთიანებისაკენ, რომ ერთად დავდგეთ და ჩვენი შიშით ვერავინ გაბედოს, შეურაცხყოს და დაბალი ხელფასები აძლიოს საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტებს.

**სულიკო მაშია, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე:**

– ფოსტაში მასობრივად ირღვევა დასაქმებულების უფლებები. ყველა მუშაკი გრძელვადიან ხელშეკრულებიდან გადაიყვანეს ერთთვიან დამამცირებელ ხელშეკრულებაზე, უკვე 125 კაცია გათავისუფლებული და კიდევ რამდენს გაათავისუფლებენ, არ ვიცით. ამას ვაპროტესტებთ და ვითხოვთ, ისევ გრძელვადიანი ხელშეკრულებები იყოს, როგორც ადრე. მით უმეტეს, მოვუწოდებთ ფოსტის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს, ნუ უკარგავს ხალხს ნდობას ახალი ხელისუფლების მისწრაფებისკენ, დაამყაროს სამართლიანობა ორგანიზაციებში და მთელ ქვეყანაში. ჩვენ მივმართეთ ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს, სახალხო დამცველს, პარლამენტის თავმჯდომარეს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომ ასეთი სახის დარღვევები ხდება იმ დროს, როცა მთავრობის მიერ ინიცირებული ახალი პროექტით საერთოდ იკრძალება ერთთვიანი ხელშეკრულების გაფორმება.

*– რა არის მოტივაცია ასეთი მოკლევადიანი ხელშეკრულებისა?*

– მოტივაცია არის ის, რომ გაათავისუფლონ ძველი კადრები და ის მცირედი კომპენსაცია რაც არის, ისიც არ გადაუხადონ და მათ ნაცვლად მიიღონ ან ამომრჩეველთა ლიგიდან, ან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან, – გვითხრა თავმჯდომარემ.

პროფკავშირის გაერთიანება აცხადებს, რომ ყოფილი ხელისუფლების წყალობით გამდიდრებული ინვესტორ-მეწარმეთა ერთი ნაწილი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს შრომის კოდექსში ცივილიზებული ცვლილებების შეტანას. მათ მიზნად დაისახეს მშრომელთა ექსპლუატაციისათვის და დასაქმებულებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენისთვის საკანონმდებლო ბერკეტების შენარჩუნება და სამუშაო ადგილების შემცირებისა და ინვესტიციების ქვეყნიდან გატანის მუქარით ცდილობს ქვეყნის მთავრობის შანტაჟს. ისინი ყალბი მოსაზრებებით ცდილობენ, შეზღუდონ მშრომელთა მაორგანიზებელი ძალის – პროფკავშირის როლი, რომლის მიმართაც ყოველთვის პათოლოგიური შიში გააჩნდათ. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება წლევანდელ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს ხვდება იმ იმედით, რომ საქართველო აღარაა ის ქვეყანა, სადაც სახელმწიფო და კანონი მეწარმეს უფლებას მისცემს, მშრომელი ადამიანი და მისი სიცოცხლე ნედლეულის, წარმოების საშუალებისა და სასაქონლო ღირებულების მქონე საგნის რანგში აღარ განიხილოს.

# 2 მაისს ქუთაისობა გაიმართება

როლანდ ხოჯანაშვილი

*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

**ბოლო პერიოდში ქუთაისი ჰამდენჯერმე მოექცა ყურადღების ცენტრში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ ჯიდევ საპრეზიდენტო ქალაქია. თვითმმართველობაში არსებულმა დაძაბულმა ჰევიმმა დაგეგმილი ქუთაისობა ანუ ოჰმაისობა ვერ ჩაშალა და მაინც აღინიშნება. ტოჰაბიტაციის მარნუხებში მოქცეული საქართველო ამჯერადაც არ ღალატობს ახლად დამკვიდრებულ ტენდენციას და პოლიტიკური ნიშნის მიუხედავად ყველას ეპატიჟებიან იმ ღონისძიებებზე, რომელიც გაიმართება დილის 10 საათიდან ქუთაისის მერიის ჯეტუჯის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით.**

როგორც მერიაში განმარტავენ, წლევანდელი ქუთაისობაც გრანდიოზულად უნდა ჩატარდეს. იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან ელოდებიან მონაწილეებს, რომლებიც სხვადასხვა პროგრამით წარსდგებიან მაყურებლის წინაშე. ქუთაისის ცენტრის რეაბილიტირებული უბანი მნახველებს სთავაზობს ვასილ ამაშუკელის ძეგლის საზეიმო გახსნას, მოეწყობა გამოფენა „ქართული კინო და ქუთაისი“, 1-ელ საჯარო სკოლაში დაგეგმილია ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ გამოფენის პრეზენტაცია. თანამედროვე ქართველი მწერლებიც აქტიურად ჩაერთვებიან საზეიმო განწყობის შექმნაში. ამბობენ, რომ „რუსთავი 2“ პირდაპირ ეთერით გადასცემს დღესასწაულს. „შუა დღის შოუ“ მთლიანად მიეძღვნება ქუთაისს. რასაკვირველია, ჩატარდება ღვინის ფესტივალიც, რომელიც ქუთაისობას ტრადიციულად ახასიათებს. გარდა აღნიშნულისა, გეგმაშია მეუფე კალისტრატეს მიერ დალოცვა ბაგრატის ტაძრიდან 10 საათზე (რითაც იხსნება, ფაქტობრივად, დღესასწაული), 11 საათიდან დღის სამ საათამდე დაგეგმილია სპორტული ღონისძიებებიც, მათ შორის მდინარე რიონზე ჯომარდობა; სავარაუდოდ, 16 საათზე რუსთაველის სახელობის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ყვავილების გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა; საგამოფენო დარბაზი „ვარლა“ საგაზაფხულო გამოფენას უმასპინძლებს, ხოლო ქუთაისის ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე ქუთაისელი დიზაინერების საგაზაფხულო ჩვენების ნახვა 15 საათიდან იქნება შესაძლებელი.

ქუთაისის ოპერის თეატრის მმართველმა განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში: „ჩემთვის ცნობილი ინფორმაციის მიხედვით დაგეგმილია ქალაქის თითქმის ყველა თეატრის აქტიური ჩართვა საზეიმო პროცესიაში, საკუთრივ კი გავაკეთებთ გალა-კონცერტს ჩვენი და მოწვეული სოლისტების მონაწილეობით. მოწვეულთაგან იმღერებენ ჩვენი თანაქალაქელი და ამჟამად გერმანიის, მაგდებურგის, საოპერო თეატრის სოლისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი გოჩა აბულაძე. ასევე ანტალიისა და სტამბულის საოპერო თეატრის სოლისტი ბურჯუ კურუ, რომელიც ჰონორარის გარეშე იმღერებს.“

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გალა-კონცერტი 22 საათზე დაიწყება და მასში მონაწილეობას მიიღებენ მაია ბარათაშვილი, სალომე ბაკურაძე, გიორგი სუხიტაშვილი და სხვები.

ქუთაისობის აღნიშვნა ტრადიციულად ყოველთვის 2 მაისს აღინიშნება, ამიტომ მას თავდაპირველად ორმაისობას ეძახდნენ და მისი პირველად ჩატარების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ქუთაისის მიმდებარე საღორიის ტყეში ქუთაისის მკვიდრები ჯგუფურად გამოდიოდნენ და სეირნობდნენ. ყველაზე გავრცელებული ვერსიით კი, ამ დღეს ქუთაისელი ქალბატონები ქუჩაში გამოდიოდნენ და გვირილებს ყიდდნენ, შეგროვებული თანხით კი გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ. ამის გამო ორმაისობას გვირილობასაც უწოდებდნენ.

# კინომსახიობთა თეატრი სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ოფიციალურად გაიხსნა მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სახელოვნებო მეცნიერება, პრაქტიკა, მენეჯმენტი“.

როგორც პროექტის კურატორმა თამარ კიკნაველიძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, კონფერენციაზე დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო კონფერენციის მთავარმა მომხსენებელმა, შვედეთის სტოკჰოლმის ცეკვისა და საცირკო ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა და პრორექტორმა ეფვა ლილიამ, რომელმაც საზოგადოებას შესთავაზა ლექცია-პერფორმანსი სახელწოდებით „ბეწვის ხიდი“.

**თამარ კიკნაველიძე:**

– კონფერენციის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიგი თევზაძემ, ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ლელა ხომერიკმა, მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის მმართველმა ზურაბ გეწაძემ, ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ლევან ხეთაგურმა. კონფერენციის გახსნის დღის მთავარი სტუმარი აღმოჩნდა ეფვა ლილია. იგი არის ქორეოგრაფი, დოჩის, სტოკჰოლმის ცეკვისა და საცირკო ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი და პრორექტორი (შვედეთი). მისი ნამუშევრები იდგმება მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. დაწერილი აქვს რამდენიმე წიგნი ცეკვის შესახებ, გადაღებული აქვს ფილმები, მოწყობილი აქვს საკუთარი ნახატების გამოფენა, იცეკვა ჩრდილო პოლუსზე და მიღებული აქვს უამრავი პრიზი და ჯილდო. 1990-იანი წლების ბოლოდან აქტიურად მუშაობდა სახელოვნებო კვლევებზე. საკუთარ ქვეყანაშიც და საერთაშორისო არენაზეც იქცა სერიოზულ ძალად, რომელიც ცდილობდა ხელოვანებისთვის თავიანთი ხელოვნების კვლევისთვის აუცილებელი პირობები შეექმნა. მუშაობს შვედური ხელოვნების ნაციონალური კვლევის სკოლის, ელიასა და პიკის სამეთვალყურეო საბჭოებში. არის შეარის, სერის და სხვა პროფესიული კავშირების წევრი. წერს და კითხულობს ლექციებს თავისი ხელოვნებისა და სახელოვნები კვლევის შესახებ. ეფვა ლილია მუშაობს სახელოვნებო უმაღლესი განათლების, კვლევისა და ლიდერობის განვითარებისთვის, ასევე, კულტურის პოლიტიკის მიმართულებით (ევროკავშირის „კულტურის ჯგუფი 2012“). ის მხარს უჭერს უმაღლესი განათლებისა და კვლევის შექმნას საცირკო ხელოვნებაში, სამაგისტრო და კვლევით პროგრამებზე ქორეოგრაფიაში. ამის საშუალებით ის დოჩს ამკვიდრებს მსოფლიო რუკაზე. რაც შეეხება მის ლექცია-პერფორმანსს „ბეწვის ხიდი“, როგორც თავად ამბობს: „მთელი ცხოვრება ვაკვირდებოდი და ვიკვლევდი, თუ როგორ და რატომ მოძრაობენ ადამიანები. როგორც ქორეოგრაფი, ვიყენებ საკუთარი დაკვირვების შედეგებს და ვქმნი გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს. ჩემი სურვილებისა და მეტაფორების გათვალისწინებით, რეალობას ახალ ფორმას ვაძლევ. ვიმედოვნებ, ეს ნათელს გახდის იმ შესაძლებლობებსა და ინტერპრეტაციის ახალ მიმართულებებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, ჩვენთვის უცხო და უცნობი იქნებოდა. არ მსურს, რომ ჩემი გაიგონ. მინდა გამოვხატო ის, რასაც თვითონაც ვერ ვგებულობ. მაგალითად, ცეკვა იქმნება მაშინ, როდესაც მაყურებელი მოძრაობას ანიჭებს ისეთ მნიშვნელობას, რასაც კანონიერად შეიძლება ვუწოდოთ ცეკვა. ვგულისხმობ პირობითობას და იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ვერ გავექცევით. ვცდილობ გამოვიყენო ცეკვა, როგორც მოძრაობის უკუქმედება. სწორედ ამაზე ვაკეთებ კვლევას. შემოქმედებითი კვლევით ვიუმჯობესებ საკუთარ ცოდნას ხელოვნების შესახებ. ხელოვანები ატარებენ კვლევას, სადაც ხელოვნების ხარისხი ფასდება ხელოვნების წარმოდგენით. შვედეთის „უმაღლესი განათლების კანონი“ მოითხოვს, რომ განათლება და კვლევა ეფუძნებოდეს შემოქმედებით და სამეცნიერო საფუძვლებს. ჩვენთან შემოქმედებით ნაწილში სრულად არის განვითარებული საგანმანათლებლო საფეხურები – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ჩვენ გვაქვს უფასო განათლება, ანაზღაურება დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, ვაფინანსებთ სახელოვნებო კვლევებს. ჩვენ ვიღებთ სტუდენტებს გასაუბრებით, ხოლო მასწავლებლებს, პროფესორებსა და გამომცდელებს – მათი შემოქმედებითი კვალიფიკაციით. ეს ხელოვანებს აძლევს განხილვის, კრიტიკული აზრის მოსმენის, პრეზენტაციის, კვლევითი დოკუმენტაციის გავრცელების შესაძლებლობებს. ცეკვის, ტექსტისა და ფანტაზიის საშუალებით, გიწვევთ მოქმედების გასაოცარ მომენტში. ამ ლექციაზე მე გავივლი ბეწვის ხიდზე და მოვიფიქრებ უმოკლეს გზებს გაუგებრობის, შიშისა და ბრძოლის გარეშე შემოქმედებითი კვლევების იდეების განხილვისთვის. მე ვიცეკვებ“.

როგორც თამარ კიკნაველიძე აღნიშნავს, 2 მაისის ჩათვლით დაგეგმილ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 22 მონაწილე, მათ შორის მა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გერმანული ქველმოქმედება ქართველი მუსიკოსისთვის

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო პროექტის „კამერტონის“ ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლებმა გასტროლები გამართეს, რომელმაც გერმანიის ქალაქებში სრული ტრიუმფით ჩაიარა. ახალგაზრდა მუსიკოსებმა ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის აღსაზრდელებმა სალომე ჟორდანიამ (ფორტეპიანო), გიორგი ოიკაშვილმა (კლარნეტი), ინალ ჯიოევმა (ჰობოი) და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეებმა ირმა გიგანმა (ფორტეპიანო) და ნოდარ მდივანმა (კლარნეტი), ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლემ სენდი ვართანოვმა (ვიოლინო) წარმატებით გამართეს 7 კონცერტი და უკვე სამშობლოშიც დაბრუნდნენ.

ამ გასტროლის შესახებ „ახალ თაობას“ „კამერტონის“ საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელი პიანისტი კირა ლელაშვილი ესაუბრა:

– არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა მოზარდებმა არა თუ იმედი გაამართლეს, არამედ ყოველგვარ მოლოდინსაც გადააჭარბეს და მათ უკვე თაყვანისმცემელთა რამდენიმეათასიანი აუდიტორია ჰყავთ გერმანიის ქალაქებში. ყველა, ვინც მათ კონცერტებს დაესწრო, ძალიან ნასიამოვნები იყო ახალგაზრდების პროფესიული მომზადების დონით, ნიჭიერებით.

***– რას მიაწერთ ასეთ ინტერესს და წარმატებას?***

– ძალიან დიდი შრომა გავწიეთ, თითქმის 9 თვის მანძილზე სერიოზული სარეპეტიციო მომზადება გაიარეს ახალგაზრდებმა, ძალიან შეხმატკბილდნენ, შემოქმედებითად შეეწყვნენ ერთმანეთს და სასურველი შედეგიც წარმოჩნდა. მოგეხსენებათ, „კამერტონმა“ 7 კონცერტი გამართა სხვადასხვა ქალაქში მრავალფეროვანი პროგრამებით, რომლებშიც ჟღერდა მოცარტის, ბეთჰოვენის, ვებერის, ტარტინის, შოპენის, შუმანის, ლისტის, კრეისლერის, ვაგნერის, შტრაუსის, სკრიაბინის, რახმანინოვის, პროკოფიევის, გლიერის, მორიკონეს, მონტის, პიაცოლას ნაწარმოებები.

ჩვენი ერთ-ერთი მიზანი ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების პოპულარიზაციაც არის და შესაბამისად, ყოველ კონცერტზე სრულდებოდა ქართული მუსიკაც, – პროგრამაში იყო რევაზ ლაღიძის რონდო-ტოკატა, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, მერაბ ფარცხალაძის „ჩანახატი“. „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა საკმაოდ უწვეულო შემადგენლობისთვის შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ სექსტეტისთვის განკუთვნილი რედაქცია, საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორების თენგიზ ნოზაძის სექსტეტი სახელწოდებით „ვალსი-ფანტაზია“ და ლალი საბანაძის „მუსიკა ხუთი ინსტრუმენტისთვის“.

მერწმუნეთ, ქართულმა მუსიკამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ბატონ ვაჟა აზარაშვილის „ნოქტიურნს“, რომელსაც წესისამებრ, „ბისზე“ ამეორებინებდნენ „კამერტონს“ და ასეთი ოვაციით მთავრდებოდა შეხვედრა ქართველ მუსიკოსებთან და ქართულ მუსიკასთან.

***– რამდენადაც ვიცით, ერთი ფრიად ნიშანდობლივი ფაქტიც მოხდა ერთ-ერთი კონცერტის დასასრულს.***

– ალბათ, ტელტოვის საკათედრო ტაძარში გამართულ კონცერტს გულისხმობთ... კონცერტის დაწყებამდე კლარნეტისტ გიორგი ოიკაშვილის ინსტრუმენტი, სიძველის გამო, მწყობრიდან გამოვიდა, მუსიკოსს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმდგარიყო მსმენელთა წინაშე: მან ჯერ სალომე ჟორდანიასთან ერთად დაუკრა მასნეს „მედიტაცია“, შემდეგ კი ორი სექსტეტიც ააყვანერა დანარჩენ კამერტონელებთან ერთად. ეს ვითარება მსმენელთა შორის ორ ადამიანს გაუგია, მეუღლეებს – როზე და ჰანს-გეორგ ენგლიშებს და მათმა ქველმოქმედებამაც არ დააყოვნა: გაბრწყინებული სახით ესაუბრა ქალბატონი როზი გიორგის, მუსიკირება მოუწონა, შემდეგ „კამერტონის“ ხელმძღვანელს, ცნობილ გერმანელ საზოგადო მოღვაწეს ლიუდმილა ფონ ბერგს აღუთქვა, რომ ახალგაზრდას ფინანსურად დაეხმარებოდა ახალი კლარნეტის შეძენაში და მართლაც, მათი მეოხებით გიორგი უკვე ახალთახალი ფრანგული კლარნეტით „ბუფე კრამპონით“ დაბრუნდა საქართველოში. გვინდა, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადოთ ქველმოქმედებისთვის ენგლიშთა ოჯახს!

***– გერმანელი მსმენელები განებივრებულნი არიან მაღალი დონის მუსიკოსებთან შეხვედრებით და, შესაბამისად, გემოვნებაც დახვეწილი აქვთ.***

– სწორედ ამის გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ „კამერტონის“ კონცერტები დიდად წარმატებული იყო, რასაც გერმანული პრესაც აღნიშნავს. ქართველთა ასეთი მშვენიერი კონცერტებით ძალიან კმაყოფილი იყო „კამერტონის“ ხელმძღვანელი ლიუდმილა ფონ ბერგი და პროექტის მხარდამჭერების გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ბერლინის სენატის წარმომადგენლები და ამაყნი იყვნენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, სადაც ერთ-ერთი კონცერტიც გაიმართა. ყველგან გამოითქვა „კამერტონის“ მომავალ წელსაც მოწვევის სურვილი, რაც, ცხადია, დიდ დაინტერესებასა და წარმატებაზე მეტყველებს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ვისენტე დელ ბოსკე: ესპანეთის ნაკრები ბოლო გაჩერებაა

ესპანეთის ნაკრები საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ვისენტე დელ ბოსკეს გუნდის სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარება – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები მომავალ მუნდიალზეც კი ფავორიტად მიიჩნევიან. თუმცა, თავად დელ ბოსკე ფრთხილობს და აცხადებს, რომ მუნდიალზე მოხვედრამდე ჯერ კიდევ 3 მატჩია მოსაგები. ამათგან, ერთი საქართველოსთან.

***– იმის შემხედვარე, თუ როგორ მუშაობდით მადრიდის „რეალში“ და როგორ მუშაობთ ესპანეთის ნაკრებში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენი მთავარი პრინციპია ფეხბურთელებს ხელი არ შეუშალოთ: ისინი თავად გაიკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა და გაიმარჯვებენ.***

– „რეალში“ გატარებული 18-წლიანი საფეხბურთო კარიერის შემდეგ, პროფესიულ ფეხბურთში დარჩენას არ ვფიქრობდი. „რეალის“ ახალგაზრდულ გუნდებთან ვმუშაობდი და ნიჭიერ ბიჭებს ვავარჯიშებდი. თუმცა, შემდეგ პროფესიული კლუბის მწვრთნელი გავხდი. თუ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, როგორც თქვენ მითხარით, გამოდის არცთუ ცუდად ვუძღვები საქმეს. ვხელმძღვანელობ იმის მიხედვით, თუ როგორ შეუძლია მოთამაშეს მოედანზე და გუნდში თავის გამოვლენა. სწორედ ამ ცოდნის არსენალით ვმუშაობ. გარდა ამისა, მწვრთნელი გასახდელში „მიღებული“ კაცი უნდა იყოს, რომელიც ფეხბურთელებისთვის უცხო არ არის და მათთან მეგობრობს. შეიძლება ითქვას, რომ ხელს არ ვუშლი. თუმცა, გადაწყვეტილებებს თავად ვიღებ და ფეხბურთელებთან მათი მიტანა ჩემი ვალდებულებაა. ასევე, მათ შესრულებას მოვითხოვ. სხვაგვარად არ შეიძლება.

***– მთელმა მსოფლიო იცის, როგორ თამაშობს ესპანეთის ნაკრები. თქვენი ჯობნა არავის შეუძლია. რატომ?***

– ერთ და იგივე სტილში რამდენიმე წელიწადია ვთამაშობთ და რატომ უნდა შეცვალოთ, როდესაც ამ სტილს წარმატება მოაქვს? რა თქმა უნდა, ფეხბურთში მოედანზე მოძრაობის ბევრი ვარიანტი და სქემა არსებობს, ხოლო ჩვენ სხვაგვარად თამაშიც შეგვიძლია. თუმცა, პირველ ყოვლისა, იმ მოთამაშის შესაძლებლობებს ვითვალისწინებ, რომელთანაც ვმუშაობ და მის გარდაქმნას არ ვცდილობ. ბოლო წლებში ჩვენი ყველა ასაკობრივი ნაკრები ისე თამაშობს, როგორც ეროვნული გუნდი.

***– ეროვნულ გუნდთან კონტრაქტი 2014 წელს, ბრაზილიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გეწურებათ. წერტილის დასმა გადაწყვიტეთ? ფიქრობთ, რომ მეორე მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მესამეს ვეღარ მოიგებთ?***

– მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ არ გავსულვართ, მისი საგზური მოსაპოვებელი გვაქვს. ავანსების გაცემა არ მახასიათებს: ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გვაქვს, მაგრამ ვიდრე სამუშაო 100 პროცენტით შესრულებული არაა, არ შეიძლება თქმა, რომ ის შესრულებულია.

***– ამჟამად ესპანეთი ჯგუფში პირველ ადგილზეა. ბრაზილიის საგზური უკვე გარანტირებულად შეიძლება ჩაითვალოს?***

– არა, ჯერ კიდევ 3 მატჩი გვაქვს მოსაგები.

***– არცთუ რთული. სრულიად ნათელია, რომ ორ მატჩში, ფინეთთან და საქართველოსთან, ესპანეთი საჯარიოში „ავტობუსს“ შეეჯახება. თქვენ ხომ გაქვთ მისი კარის „გახსნის“ რეცეპტი?***

– ცხადია, ამ თემაზე გარკვეული მოსაზრება მაქვს, მაგრამ ყველა იდეის განხორციელებაა საჭირო. თუ ხსენებული გუნდები დაცვიდან თამაშს ამჯობინებენ, ბურთის ფლობისა და დომინირების საშუალებას მოგვცემენ, მაშინ, ვფიქრობ, მათ მოვუგებთ.

***– მაინც, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორედ მოგებაზე რას ფიქრობთ?***

– ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება არა უბრალოდ რთული, არამედ, წარმოუდგენლად რთულია.

***– თუმცა, 1958 და 1962 წლებში ბრაზილიის ნაკრებმა მოახერხა.***

– ჩვენც შევეცდებით.

***– თქვენი აზრით, მაშინ უნდა წახვიდე, როდესაც აღმავლობას განიცდი, თან ტიტულები გაქვს და არა იმ შეგრძნებით, რომ ყველაფერი კარგი წარსულს ჩაბარდა და ახალს ვერაფერს მოიგებ?***

– პირველ ყოვლისა, უნდა შეგეძლოს, გაკეთებულზე პასუხი აგო და დაპირება შეასრულო. წასვლა... რა ახსოვს თანამედროვე გულშემატკივარს მატჩისგან? ათეული მომენტი პირველი ტაიმის ბოლოს და მეორე ტაიმის ბოლო 10 წუთი. შეიძლება, საწყისი ნახევარი საათი არაშთამბეჭდავად ჩაატარო, მაგრამ ბოლო წუთებზე გაიბრწყინო და ყველა ჩათვლის, რომ საუცხოო მატჩი ჩაატარეთ. ასე არის კარიერაშიც: ფინალს უმაღლეს წერტილზე უნდა მიუახლოვდე.

***– ნაკრებთან კონტრაქტი რომ დაგიმთავრდებათ, მხოლოდ 64 წლის იქნებით.***

– არავითარ შემთხვევაში! მე ხომ დეკემბერში ვარ დაბადებული და ამიტომ, კონტრაქტი რომ დამითავრდება, 63 წლის ვიქნები.

***– ესპანეთში საპენსიო ასაკი 65 წლიდან განისაზღვრება და შესაძლოა, ის კიდევ უფრო გაზარდონ. რით დაკავდებით, ვიდრე პენსიაზე გახვალთ?***

– ვნახავ რამეს, რაც გარკვეულ შემოსავალს მომიტანს.

***– დათანხმდებით, რუსეთის ნაკრების გაწვრთნა რომ შემოგთავაზონ? (ინტერვიუ რუსულ პრესაში გამოქვეყნდა)***

– არა. მეტი არავითარი ნაკრებები და კლუბები. ესპანეთის ნაკრები ჩემი ბოლო გუნდია. გუნდში 2014 წლამდე ვიმუშავებ, 2015-მდე თუ 2018-მდე... მნიშვნელობა არ აქვს. ამაზე ვამთავრებ.

***– „რეალში“ თამაშობდით, „რეალს“ წვრთნიდით, ხოლო ამჟამინდელი ნაკრების ბაზა საბაზო გუნდი „ბარსელონაა“.***

– უბრალოდ, მე საუკეთესოებს ვიწვევ და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რომელ გუნდში თამაშობს. „რეალიდან“ მეტი ფეხბურთელის მიწვევა რომ მინდოდეს, მაინც არ გამომივა. იქ ხომ ცოტა ესპანელია – კასილიასი, რამოსი, ალბიოლი, არბელოა და ჩაბი ალონსო. სათანადო დონის სხვა ესპანელი ფეხბურთელი არ არის. კლუბი აქცენტს ხომ უცხოელ შემსრულებლებზე აკეთებს: მარსელო, კოენტრაუ, ხედირა, რონალდუ, იგუაინი, დი მარია, პეპე. ჩემთვის არჩევანის კრიტერიუმი სპორტსმენის უბრალო თვისებაა: კარგი მოთამაშეა ის თუ ცუდი. ეს შერჩევის ერთადერთი პრინციპია. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის კლუბის დასახელებას, რომელშიც ფეხბურთელი თამაშობს? ბარსელონელები... ისინი ხომ თავის კლუბშიც იგივე სტილში თამაშობენ, როგორსაც ნაკრები ქადაგებს.

***– ანუ სახელგანთქმული ესპანური ტიკი-ტაკა... ახლა მის ავტორობას ბევრი იჩემებს. ლუის არაგონესი ამტკიცებს, რომ ნაკრები 2008 წელსაც ასე თამაშობდა.***

– თუმცა, არაგონესი ხომ არ ამბობს, რომ ეს მან მოიგონა? ამას ყველაფერს ჟურნალისტები საუბრობენ.

***– საფრანგეთი-ესპანეთის მატჩში ვიქტორ კაშაის მსაჯობით კმაყოფილი ხართ? თქვენი აზრით, იყო პენალტი, როდესაც პედრო მასპინძელთა მეკარესთან შეჯახების დროს წაიქცა?***

– თუ ჩემ მიერ ადრე მიცემულ ინტერვიუებს მოიძიებთ, ვერც ერთში ნახავთ, მსაჯებს ვსაყვედურობდე ან მათ შესახებ საერთოდ ვსაუბრობდე.

***– ესპანურ კლუბებს კარგი საფეხბურთო სკოლები აქვთ, სადაც საუცხოო ოსტატებს ამზადებენ. მსოფლიო და ევროპულ ფეხბურთში ესპანური ფეხბურთის ჰეგემონია სამუდამოა?***

– ყოველთვის გამარჯვება შეუძლებელია. თუმცა, საუკეთესოებში ყოფნა შესაძლებელია. ვერ ვხედავ მიზეზს იმისა, რომ უახლოეს მომავალში ლიდერების სიაში აღარ ვიყოთ. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები თავის დონეზე კარგად გამოიყურებიან, პირველ ნაკრებში მისულებიც არ იკარგებიან. ესპანეთის ასაკობრივი ნაკრებები ნებისმიერი მასშტაბის ტურნირზე გამარჯვების პრეტენდენტები არიან. თუმცა, შეცდომების ან უიღბლობის გამორიცხვა არ შეიძლება.

# სასწაული არ შედგა, მოუ წასვლაზე ალაპარაკდა

**რეალი – დორტმუნდი 2:0**

1:0 ბენზემა (83), 2:0 რამოსი (88)

**რეალი:** ლოპესი, ესიენი, ვარანი, რამოსი, კოენტრაუ (კაკა 57), მოდრიჩი, ალონსო (ხედირა 67), დი მარია, ოზილი, რონალდუ, იგუაინი (ბენზემა 57)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი, გიუნდოგანი, ბენდერი (სანტანა 90), კუბა, გიოტცე (გროსკროიტცი 14), როისი, ლევანდოვსკი (კელი 87)

როდესაც მატჩამდე მადრიდელთა მწვრთნელი ჟოზე მოურინიო აცხადებდა, რომ მისი გუნდი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბოლო წამამდე იბრძოლებდა, ალბათ სწორედ ის ჰქონდა მხედველობაში, რაც მოხდა. „რეალმა“ მართლაც შესანიშნავად ითამაშა, თუმცა, მხოლოდ დასაწყისში და ბოლო წუთებზე. არადა, მადრიდელებს მატჩის შუა მონაკვეთი რომ არ ამოვარდნოდათ, ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო.

იურგენ კლოპს სიურპრიზი არ შემოუთავაზებია – „დორტმუნდმა“ თამაში იმავე შემადგენლობით დაიწყო, რომლითაც ერთი კვირის წინ. სამაგიეროდ, მოურინიომ აქცენტი შეტევაზე გააკეთა და მოედნის ცენტრში, ჩაბი ალონსო ერთადერთ საყრდენად დატოვა, ხედირას ნაცვლად კი უფრო შემტევი მოდრიჩი გაამწესა.

გერმანელი საყრდენი ნახევარმცველის არყოფნა გუნდს მაინც დაეტყო – სტუმართა შეტევების დროს, მოედნის ცენტრში ზედმეტად ბევრი თავისუფალი სივრცე რჩებოდა. თუმცა, ეს მხოლოდ საწყისი 15 წუთის შემდეგ, მანამდე კი „რეალი“ უტევდა, კუთხურს კუთხურზე აწვდიდა და მომენტებსაც ქმნიდა. თითქმის ასპროცენტიანი მომენტები გაანიავეს იგუაინმა, რონალდუმ, ოზილმა... ორჯერ შესანიშნავად ვაინდენფელდერმა ითამაშა, ერთხელ კი მადრიდელთა შემტევმა არაზუსტად დაარტყა.

მალე „დორტმუნდი“ გონს მოეგო – გერმანელებმა ესპანელების თამაშს ალღო აუღეს და პირველ ტაიმში, ვაიდენფელერის კართან განსაკუთრებით სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა.

ერთი სახიფათო მომენტი „დორტმუნდმაც“ შექმნა, მაგრამ წინა მატჩის გმირმა ლევანდოვსკიმ, მეკარეს ვერ აჯობა.

მე-2 ტაიმიც „რეალის“ შეტევებით დაიწყო, მაგრამ ხიფათს „დორტმუნდი“ ქმნიდა. 51-ე წუთზე ლევანდოვსკიმ ბურთი ამჯერად ხარიხას გაარტყა. 62-ე წუთზე კი, დიეგო ლოპესმა გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა, როდესაც გუნდოგანი ახლოდან თითქმის ცარიელ კარში ურტყამდა – ესპანელთა მეკარემ შესანიშნავი რეაქცია გამოავლინა.

დროცოტა რჩებოდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო მომენტი თურმე წინ ყოფილა. 83-ე წუთზე, კაკა-ოზილი-ბენზემას კომბინაცია გოლით დასრულდა და დაიწყო...

5 წუთის შემდეგ, მასპინძლებმა საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდეს, ბენზემამ ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილ სერხიო რამოსს გადააწოდა, რომელმაც ძლიერი დარტყმით მეორე გაიტანა და სიტუაცია უკიდურესად დაძაბა.

დარჩენილ დროში ერთი გოლის გატანა „რეალის“ ფინალში გასვლას ნიშნავდა, მაგრამ სასწაული არ მოხდა – დიდი მცდელობის მიუხედავად მადრიდელებმა ერთი მეტნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ რამოსს ამჯერად მიზანმა უმტყუნა...

„რეალი“ გახდა პირველი გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგას ნახევარფინალიდან ზედიზედ სამ სეზონში გამოეთიშა. ხოლო „დორტმუნდი“ გახდა მე-2 გუნდი, რომელიც ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის დროს მე-4 კალათში იყო განთესილი, მაგრამ ფინალში მაინც გავიდა. პირველად ეს „მონაკომ“ შეძლო, 2004 წელს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სერხიო რამოსი

მადრიდელთა დაცვამ კარი ამჯერად მშრალად შეინახა და ეს დიდწილად რამოსის დამსახურებაა, რომელმაც რამდენიმე შეტევა ჩაუშალა დორტმუნდელებს. ამასთან, აქტიურად ცდილობდა გუნდს შეტევაში დახმარებოდა და უფრო მეტ ხიფათს ქმნიდა მეტოქის კართან, ვიდრე „რეალის“ შემტევები. გაიტანა გოლი, რომელმაც მადრიდელ გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა, იბრძოდა ბოლომდე, როგორც ეს კაპიტანს შეეფერება.

## მატჩის შემდეგ

***იურგენ კლოპი:***

– თამაშის ბოლო ნაწილი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა, თუმცა კონტრშეტევების განხორციელებისა და გატანის საშუალება მაინც გვეძლეოდა. ვიცოდით, რომ „რეალი“ აგრესიულად ითამაშებდა და ამიტომ სასტარტო 20-25 წუთის შემდეგ შევეცადეთ, მეტოქის ზეწოლისთვის სათანადოდ გვეპასუხა. თუმცა მას შემდეგ, რაც რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი გავაფუჭეთ, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ, ბოლოსკენ „რეალმა“ თამაშს ინტრიგა რომ დაუბრუნა. დღეს 90 წუთი საკმაოდ „გაიწელა“, რადგან კარგად დროდადრო ვთამაშობდით, მაგრამ არა მთელი მატჩის განმავლობაში. რა თქმა უნდა, „რეალი“ მაღალი კლასის ფეხბურთს აჩვენებს და შეეცადა, პირველი მატჩისთვის შური ეძია, მაგრამ მთლიანობაში ჩვენ დავიმსახურეთ ფინალში გასვლა.

***ჟოზე მოურინიო:***

– „რეალი“ მეათედ აუცილებლად იზეიმებს გამარჯვებას. მნიშვნელობა არ აქვს ჩემთან იქნება ეს თუ სხვასთან. პირველი გოლი უფრო ადრე რომ გაგვეტანა, დიდი შანსი გვქონდა თამაში ჩვენს სასარგებლოდ დაგვეს-რულებინა. რაც შეეხება მსაჯს, ჰუმელსი ხელით თამაშის გამო მოედნიდან უნდა გაეძევებინა. ბოლო 25 წუთი, უები მსაჯი კი არ იყო, არამედ რიგითი გულშემატკივარი. წითელი ბარათის ამოღებით, ჰუმელსი ფინალს გამოტოვებდა. „რეალის“ გულშემატკივრებს მადლობას ვუხდი. მათ ჩვენი ბოლომდე სჯეროდათ. ამჯერადაც არ გაგვიმართლა, მაგრამ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. ალბათ „რეალში“ არ დავრჩები. მინდა მოღვაწეობა იქ გავაგრძელო, სადაც ვუყვარვართ და პატივს მცემენ. მთავარი ჩემი მომავალი კი არ არის, არამედ „რეალია“. ეს საოცარი გუნდია, რომელსაც შეუძლია ტიტულები მოიპოვოს. წინ ჩვენ სამეფო თასის ფინალი გველოდება, რომელსაც აუცილებლად მოვიპოვებთ. გარდა ამისა, ლა ლიგაზე ასპარეზობას მეორე ადგილით ვასრულებთ. რაც შეეხება კლუბში ჩემს დარჩენას, ამას ჩემი მეგობარი ფლორენტინო პერესი გადწყვეტს. ინგლისში ყველას ვუყვარვარ. რა თქმა უნდა, როცა საჭიროა, მაკრიტიკებენ კიდევაც, მაგრამ ხალხისგან დიდ სითბოს ვგრძნობ. ესპანეთში კი ყველაფერი სხვაგვარადაა – აქ თითქმის ყველას ვეზიზღები და ბევრი მათგანი ახლა ამ საკონფერენციო დარბაზშია.

# იგორ კოკოშკოვმა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს სუპერლიგის მეოთხედფინალური სერიების დასრულების შემდეგ, ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დაასახელა ეროვნული გუნდის კანდიდატთა გაფართოებული, 20-კაციანი შემადგენლობა.

ნაკრების შეკრებამდე დარჩენილ დროში სამწვრთნელო შტაბი ამ გაფართოებული შემადგენლობიდან შეარჩევს იმ 16 მოთამაშეს, რომელიც 8 ივლისიდან დაიწყებს მომზადებას ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის.

უკანახაზელები: გიორგი ცინცაძე (ბუდიველნიკი, უკრაინა),ოთარ ფხაკაძე (ვერმონტი, ნცაა, აშშ),მანუჩარ მარკოიშვილი (გალათასარაი, თურქეთი),ბესო ლეჟავა (არმია),დუდა სანაძე (სან დიეგო, ნცაა, აშშ),რევაზ როგავა (შსს-აკადემია),მერაბ ბოქოლიშვილი (შსს-აკადემია), ბექა ჩიკვილაძე (დინამო),ჯეიკობ პულენი (ბოლონია, იტალია),ანატოლი ბოისა (არმია);

ცენტრ-ფორვარდები: თორნიკე შენგელია (ბრუკლინი, ნბა, აშშ), ლევან ფაცაცია (ოლიმპი), ვიქტორ სანიკიძე (სიენა, იტალია), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (ჩემპვილი, ლიბანი), ბექა ბურჯანაძე (კახასოლი, ესპანეთი),ნიკა მეტრეველი (პაფონი, იტალია), გიორგი შერმადინი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი), გიორგი შარაბიძე (არმია), სერგო ათუაშვილი (სოხუმი).

ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი გეგმა:

8-24 ივლისი: ვარჯიშები ფიზიკურ მომზადებაში, თბილისი;

25 ივლისი-6 აგვისტო: მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში, სლოვენია;

7-9 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი ქ. ტრენტოში, იტალია. მონაწილეობენ: საქართველო, იტალია, პოლონეთი, ისრაელი;

10-13 აგვისტო: მოსამზადებელი შეკრება ქ. პოდჩეტრტეკში (სლოვენია);

13 აგვისტო: ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. ცელიეში, სლოვენია;

14 აგვისტო: ამხანაგური მატჩი საქართველო-ბოსნია ქ. იესენიცეში, სლოვენია;

16-17 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი ქ. ანტიბში, საფრანგეთი. მონაწილეობენ: საქართველო, საფრანგეთი, სერბეთი;

18-22 აგვისტო: მოსამზადებელი შეკრება თბილისში;

25-28 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი ქ. თელ-ავივში, ისრაელი. მონაწილეობენ: საქართველო, ისრაელი, ლატვია, მეოთხე გუნდი ჯერ უცნობია;

1 სექტემბერი: ამხანაგური მატჩი ლიტვა-საქართველო ქ. კაუნასში, ლიტვა;

2 სექტემბერი: გამგზავრება სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე;

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

რეალი-დორტმუნდი ..... 2:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მილუოლი-კრ.პალასი ..... 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

დენვერი-გოლდენ სტეიტი .... 107:100

**სერიის ანგარიში: 2:3**

კლიპერსი-მემფისი ..... 93:103

**სერიის ანგარიში: 2:3**

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფები**

სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი 2:1(ოტ)

**სერიის ანგარიში: 1:0**

ჩიკაგო-მინესოტა ..... 2:1(ოტ)

**სერიის ანგარიში: 1:0**

ანაჰაიმი-დეტროიტი ..... 3:1

**სერიის ანგარიში: 1:0**

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# რეზო ჩხეიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიეცემა, ახალ ფილმზე მუშაობას აუცილებლად დაიწყებს.

რეზო ჩხეიძის სავიზიტო ბარათად ქცეული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ არაერთი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. რეჟისორის ნაყოფიერ მოღვაწეობას სპეციალური წიგნიც მიეძღვნა, რომელსაც მისმა ავტორებმა „რეზო ჩხეიძე – კინოს დიდ გზაზე“ უწოდეს. პროექტის ავტორია ნანა ჯანელიძე. წიგნი შეადგინეს ნანა ჯანელიძემ და ნინო ნატროშვილმა. კრებული ასახავს როგორც რეზო ჩხეიძის ბიოგრაფიას, ისე XX საუკუნის საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებას. წიგნი იძლევა ენციკლოპედიურ ცნობებს იმ მოვლენაზე, რასაც კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ერქვა. წიგნი მდიდარია ფოტოილუსტრაციებით და კინოკადრებით, როგორც რეზო ჩხეიძის ფილმებიდან, ასევე ქართული კინოკლასიკიდან, „აკაკის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში“, „შერეკილები“, კინოფაკულტეტის სტუდენტური ფილმების კადრები და კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლების ფოტოებით. წიგნშია უამრავი ზუსტი ნოველა თუ ჩანახატი ცნობილ და უცნობ კინომოღვაწეებზე, მათზე, ვისაც მაყურებელი კარგად იცნობს, და მათზეც, ვინც ყოველთვის კადრს გარეთ მუშაობს. რეზო ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნი გამოიცა ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. ამ პროექტის განხორციელებაში ფინანსური მონაწილეობა მიიღო ასევე კომპანია მაგთიმ და ქართული ფილმის განვითარების ფონდმა. პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს ეროვნული არქივი და ქართული ფილმი.

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გაიმართა სპეციალური გამოფენა, რომელიც რეზო ჩხეიძის იუბილეს მიეძღვნა. ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ყველა ის საინტერესო და მნიშვნელოვანი ექსპონატი, რომელიც კინორეჟისორის ცხოვრებას დამთვალიერებელს კიდევ უფრო ნათლად წარმოუსახავდა. დათო ოქიტაშვილი:

– რეზო ჩხეიძის ვარსკვლავის გახსნის დღედ 9 მაისი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა და მისი ფილმი „ჯარისკაცის მამა“ ამ ომზეა გადაღებული. ფერადი „ჯარისკაცის მამის“ პრემიერა კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართება და ამავე კინოთეატრის წინ გაიხსნება რეზო ჩხეიძის ვარსკვლავიც.

*– ვარსკვლავების გახსნა ისევ თქვენი ინიციატივაა?*

– კი, პირველი, რაც გააკეთა ახალმა მთავრობამ, დამიბარა ახალმა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და ვარსკვლავების გახსნის საქმე ჩამაბარა ისევ მე.

*– რა კრიტერიუმებით არჩევთ ვარსკვლავის გახსნის ნომინანტებს?*

– რეზო ჩხეიძე რა კრიტერიუმით უნდა ავარჩიო? ვის გავუხსნათ ვარსკვლავი, ამას მარტო დათო ოქიტაშვილი არ წყვეტს, ამას წყვეტს სპეციალური საბჭო. ახლა მოგვმართეს თხოვნით კინოკავშირმა, ქართულმა ფილმმა, რომ ბატონ რეზოს იუბილესთან დაკავშირებით გაგვხსნა ვარსკვლავი. თან „ჯარისკაცის მამის“ ახალი ვერსია შეიქმნა და მის პრემიერასაც დავამთხვიეთ. ვინ შეიძლება ამის წინააღმდეგი წავიდეს? არასოდეს გამიხსნია ისეთი ადამიანის ვარსკვლავი, რომელიც დაბადებდა კითხვას, ეკუთვნოდა თუ არა ვარსკვლავის გახსნა.

*– ბოლო პერიოდში გახსნილი ვარსკვლავების დიზაინი ისევ შეცვლილია. რატომ?*

– ჩვენ შევცვალეთ დიზაინი. შვიდქიმიანი დავტოვეთ, ქართული ვარსკვლავი გავაკეთეთ. როდესაც ვარსკვლავების გახსნის ინიციატივა წამართვეს, ეს შავ მარმარილოზე გაკეთდა და კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი. ეს ვარსკვლავის ფორმა უკვე საბოლოოა და აღარ შეიცვლება, ეს არის თეთრი, ნამდვილი მარმარილო, თავიდან რომ გავხსენით, სულ სხვა მოთხოვნა იყო, ახლა ყველაფერი უფრო სტანდარტებში ჩავსვით.

*– ამიერიდან იქნება თეთრი ვარსკვლავები?*

– ზუსტად იმ ფორმის იქნება, როგორიც თამარ გვერდწითელს და ნანა ფაჩუაშვილს აქვთ.

*– ძველებს რა ბედი ეწევათ, მათაც გაათეთრებთ?*

– არა, ისინი დარჩებიან ისე, როგორც არიან. ჩვენ ხელს არ ვახლებთ, წინა მთავრობისგან განსხვავებით, ვანდილიზმს არ ჩავიდენთ.

*– რას გულისხმობთ?*

– მათ აყარეს წინა ვარსკვლავები და გადაყარეს. თითოეულ ვარსკვლავს აქვს თავისი ისტორია, ამ თითოეული ვარსკვლავის გახსნაზე თითქმის უწმინდესი ესწრებოდა და ხსნიდა მათ. იგივე ვანდალიზმის გამკეთებელი მე არ ვარ და არც ვაპირებ არასოდეს.

*– მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ არ ითქმის, უკვე განსაზღვრულია ვინ იქნება შემდეგი?*

– რა თქმა უნდა, უკვე განსაზღვრულია, მაგრამ ჯობია მოვლენებს დაველოდოთ. თუმცა პირობას გაძლევთ, რომ ეს ადამიანი იქნება ნამდვილად ღირსეული პიროვნება და მისი ვარსკვლავის გახსნა ქართველ საზოგადოებას გაუხარდება. მიმაჩნია, რომ ადამიანს სიცოცხლეშივე უნდა სცე პატივი, თორემ რომ გარდაიცვლება და მერე მის სახელს ქუჩებს არქმევენ და ძეგლებს უდგამენ, ეს ვის რაში სჭირდება?

**ეკა ირემაშვილი**

# ეროვნულ არქივში ქართული ხელნაწერი წიგნების დიგიტალიზაცია დაიწყო

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების დიგიტალიზაცია დაიწყო. პროცესი უკონტაქტო სკანერით მიმდინარეობას, რაც ხელნაწერების დაზიანებას გამორიცხავს.

– ძველ საბუთთა განყოფილების ხელნაწერ წიგნთა კოლექციის ფონდში დაცულია 792 ხელნაწერი, რომელიც IX-XIX საუკუნეებს მოიცავს. შინაარსით ხელნაწერები მრავალდარგოვანია და მოიცავს ისტორიას, ფილოლოგიას, ჰაგიოგრაფიას, საერო და სასულიერო სამართალს, ძველი და ახალ აღთქმას, მსოფლიო და საქართველოს გეოგრაფიას, მედიცინას, პროზას, პოეზიას და სხვა. ხელნაწერ წიგნთა მასალად ძირითადად გამოყენებულია ქაღალდი, გარკვეული რაოდენობა შესრულებულია ეტრატზე. ხელნაწერების ნაწილი შემკულია როგორც მაღალი პროფესიული ოსტატობით გამორჩეულ კალიგრაფთა და მინიატურისტთა, ისე შედარებით ნაკლებად გაწაფული ოსტატების მიერ. მაგალითად, XVI საუკუნის გულანი, რომელსაც ახლავს მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული საუფლო დღესასწაულების სცენების ამსახველი ნახატები, XVII საუკუნის ღექსად თქმული წმიდა გიორგის ცხოვრება, რომელიც უხვადაა შემკული ხალხური მხატვრული წრიდან მომდინარე, თავისი გამომსახველობით სრულიად გამორჩეული მინიატურებით. დამწერლობის მიხედვით სჭარბობს მხედრული და ნუსხური. მცირე რაოდენობითაა ასომთავრული ტექსტები, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

მისივე თქმით, კოლექციის ყველაზე ადრეული ნიმუში IX საუკუნეს განეკუთვნება, ამ საუკუნეში გადანუსხული სახარება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სამწერლო კერებში შექმნილ ხელნაწერთა მსგავსად, მეტად მნიშვნელოვან ხელნაწერს წარმოადგენს და თავისი ასომთავრული დამწერლობით ანბანდიდად იწოდება.

– ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია XI-XII საუკუნეების გიორგი მთაწმინდისეული მინიატურული სახარება, XII საუკუნის ანჩის სახარება და სხვა. თარიღიან ხელნაწერებს შორის ყველაზე ადრეულია 1534 წელს კალმახის ციხეში გადაწერილი სახარება, რომლის ყდა მოჭედილია ვერცხლის ჯვრით. ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1745 წელს მოსკოვში შედგენილი „საქართველოს ისტორია და გეოგრაფია“ და „საქართველოს ატლასი“, რომელსაც ახლავს ბაგრატიონთა გენეალოგია. ეს ორივე ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფს და მსოფლიო მნიშვნელობის ხელნაწერებადაა შეფასებული ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ. ასევე მნიშვნელოვანია კათოლიკოს ანტონ I-ის მიერ შექმნილი და ნათარგმნი ხელნაწერები, გადაწერილი თანამედროვეების მიერ, სულ 11 ხელნაწერი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და მოგზაურობა ევროპაში, სიბრძნე ბალავარისა (ბოლონაკლული), დავით თუმანიშვილის „მსოფლიო ისტორია“, ვეფხისტყაოსანი, რუსუდანიანი, ვახტანგ VI სამართლის წიგნები, დავით ბატონიშვილის გრამატიკა, სამკურნალო წიგნები, ხალხური ზღაპრები, თქმულებები, იგავ-არაკები; 1850 წლის გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“ (ავტოგრაფი), შემკული იტალიელი მხატვრის კორადინის მიერ აკვარელით შესრულებული 11 ნახატით, ყარამანიანი და სხვა. ეს მცირე ჩამონათვალიც კი თვალნათლივ ცხადყოფს კოლექციის მრავალფეროვნებას და მის ღირებულებას ქართული კულტურის ისტორიისათვის. ერთიანი სახით იგი საგულისხმო დადასტურებაა იმ დიდი ისტორიულ-კულტურული ღირებულებისა, რომლითაც გამოირჩევა ძველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, – განმარტავს თეა ქიმერიძე.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში 2013 წლის იანვარ-მარტში სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 5.945 ფურცელს, 169 ფოტოპოზიტივს, 20 ტექნიკურ ნახაზს.

– რესტავრირებულ დოკუმენტთა შორისაა საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილების ხელნაწერი დოკუმენტები – 238 ფურცელი, მათ შორის მეფეთა სიგელები, შეწირულების წიგნები, სასულიერო ხასიათის საბუთები და სხვ. მიმდინარე წელს გრძელდება XVI საუკუნის საღვთისმეტყველო თხზულებათა კრებულის – გულანის რესტავრაციაც. ლაბორატორიამ იმუშავა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდზე, რომელიც რესტავრაციასთან ერთად, აიკინძა და ყდაში ჩაისვა. დოკუმენტები მკვლევართათვის საისტორიო ცენტრალური არქივის მკვლევართა დარბაზის მეშვეობით უკვე ხელმისაწვდომია. გარდა რესტავრაციისა, ლაბორატორიაში სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა ძველ საბუთთა განყოფილების 4.317 ფურცელს. ლაბორატორია ჩართულია, აგრეთვე, დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც სამი თვის განმავლობაში დასასკანერებლად მომზადდა და შემდეგ ხელახლა აიკინძა 392 საქმე, – აღნიშნავს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

საქართველოს ეროვნულ არქივს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის მოსწავლეები ეწვივნენ და გამოჩენილი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის შესახებ საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ მასალებს გაეცნენ.

ევროპული სასწავლებლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს დოკუმენტები აკაკი წერეთლის დაბადებისა და მოღვაწეობის შესახებ, მოისმინეს დოკუმენტების მიმოხილვა, რომელიც მათთვის საისტორიო არქივის თანამშრომლებთან ერთად სტაჟიორებმა სოფიო შარაშენიძემ და თამარ ხისფეხიშვილმა მოამზადეს. მოსწავლეთა განსაკუთრებული ყურადღება მწერლის ხელნაწერებმა მიიპყრო.

– ეროვნული არქივი ინახავს მასალებს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში აკაკი წერეთლის მოღვაწეობის შესახებ; რუსული ცენზურის მიერ მწერლის ნაწარმოებების აკრძალვის შესახებ; აკაკის ხელნაწერ მისსავე თხზულებებს „ირაკლი ბატონიშვილი“, „გელა“, „დღევანდელი გმირი“, „ახლანდელი ქალი“, „სხვაგვარი სიყვარული“. ეროვნული არქივი რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელთან ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების პოპულარიზაციისა და მოსწავლეთათვის ისტორიული წყაროების გაცნობის მიზნით მეორე წელია, თანამშრომლობს, – განაცხადა თეა ქიმერიძემ.

## კინომსახიობთა თეატრი სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გისტრანტი, დოქტორანტი, თავისუფალი მკვლევარი როგორც საქართველოდან, ასევე ჩეხეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუმინეთიდან, სლოვაკეთიდან, სლოვენიიდან, უკრაინიდან, ირანიდან.

– კონფერენციის დასკვნით დღეს, 2 მაისს გაიმართება ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტნიორის საშემსრულებლო ხელოვნების ევროპული ლიგის პრეზენტაცია, რომელსაც საქართველოში საგანგებოდ ჩამოსული კონფერენციის სტუმარი სხლეტე ვან რუიტენი (საშემსრულებლო ხელოვნების ევროპული ლიგის დირექტორის მოადგილე, ნიდერლანდების სამეფო) ჩაატარებს. ამ კონფერენციის მხარდამჭერები არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდი „კავკასია“, მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი, კომპანია „გურიელი“ და საშემსრულებლო ხელოვნების ევროპული ლიგის ელია შეარ პროგრამა, – განაცხადა თამარ კიკნაველიძემ.

## მოუს და ფალკაოს ჩელსიში ელიან

როგორც ინგლისური მედია იუწყება, ლონდონის „ჩელსიმ“ უკვე მიაღწია შეთანხმებას მის ყოფილ თავკაცთან, პორტუგალიელ ჟოზე მოურინიოსთან კლუბში დაბრუნების შესახებ.

ოფიციალურად კონტრაქტს მხარეები მაისის ბოლოს გააფორმებენ. ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, რის გამოც მოუ არისტოკრატების მეორედ თავაკაცობას დათანხმდა, საკადრო და სატრასფერო პოლიტიკაზე სრული კარტ ბლანშის მინიჭებაა. ერთ-ერთი პირველი ახალწვეული მოურინიოს მისვლის შემდეგ, მადრიდის „ატლეტიკოს“ კოლუმბიელი ფორვარდი რადამელ ფალკაო იქნება, რომელმაც, არსებული ინფორმაციით, უკვე შეათანხმა „ლურჯებთან“ პირადი კონტრაქტის დეტალები. თავად ტარნსფერი რომან აბრამოვიჩს 59 მლნ ევრო დაუჯდება.

მოურინიოს „ჩელსიში“ 34 წლის ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდი დახვდება, რომლისთვისაც კლუბმა ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გაამზადა. თავად ფეხბურთელიც მზადაა, კლუბთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს. მხარეები ამას მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ოფიციალურად განაცხადებენ. სხვათა შორის, „ჩელსის“ მესვეურები დიდხანს ფიქრობდნენ, ლამპარდთან თანამშრომლობა გაეგრძელებინათ თუ არა.

**მ. ჟ.**

## ჯოსვოხდი ბ

**შვეულად:** 1. მსხვილი ფინანსურსამრეწველო სააქციო გაერთიანება; 2. ხრტლოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 3. ხელოვნური მარმარილო; 4. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 5. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 10. რაიმე წარმატებული საქმის აღსანიშნავი პურმარილი; 11. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 12. სამრეწველო რაიონი პოლონეთის სამხრეთში; 15. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 16. პატარა, იუმორისტული საესტრადო პიესა; 17. იაპონური თოჯინების თეატრი; 20. სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში.

**თარაზულად:** 6. მადნეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი; 7. შებოლილი ძეხვი; 8. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 9. რუმინული კომპოზიტორი; 13. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. გია დანელიას კინოკომედია; 18. თეატრალური სპექტაკლის გასაფორმებელი საგნების ერთობლიობა; 19. აეროპორტი პარიზში; 21. ზოდიაქოს ნიშანი; 22. შხამიანი გველი; 23. ბიტუმით გაჟღენთილი საიზოლაციო მასალა; 24. ტვირთის გადატანა შუალედური პუნქტის გავლით.



**შეადგინა თ.ბოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად; 1. ქულბაქი; 2. ტალავერი; 3. რივერა; 4. პირლო; 5. ციხეგოჯი; 8. კურატორი; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. გარინჩა; 18. მამნე; 20. როქი.

თარაზულად: 6. ფუკუსიმა; 7. გრინვიჩი; 8. კაიაკი; 9. ნაურუ; 10. ბერგმანი; 11. მონბლანი; 15. მასტროიანი; 17. ქინქლა; 19. ზვარტნოცი; 21. კალიუმი; 22. კონსტებლი; 23. დიორამა.

**კროსვორდი ბ**

შვეულად; 1. პერკუსია; 2. ალბიონი; 3. ვილია; 4. მურმანი; 5. კალორია; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. კრიკინა; 15. პომოლოგია; 16. იბერია; 17. სტატიკა; 20. ნოკია.

თარაზულად: 6. მეგალომანია; 7. ფუტზალი; 8. ატაკამა; 9. ასტანა; 13. ვაკე; 14. ვეზირი; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ჰობოი; 22. ქაშერი; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

## ვლადიმერ პუტინმა „შრომის გმირის“ წოდება აღადგინა

რუსეთის პრეზიდენტმა „შრომის გმირის“ წოდება აღადგინა და ეს ჯილდო რამდენიმე ადამიანსაც მიანიჭა. რუსული მედიის ინფორმაციით, ეს ქვეყანაში „რუსეთის გმირის“ შემდეგ მნიშვნელობით მეორე ჯილდოა, რომლის მინიჭებაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველად მოხდა.

„რუსეთის ფედერაციის შრომის გმირის“ წოდების აღდგენის იდეა, ადრე არსებული „სოციალისტური შრომის გმირის“ ანალოგიის მსგავსად საერთო რუსულ სახალხო ფრონტის კონფერენციაზე გაჩნდა, რომელიც დონის როსტოვში 29 მარტს ჩატარდა და ვლადიმერ პუტინმა შესაბამის ბრძანებულებას მოაწერა ხელი.

„წინსვლა ჩვენ მხოლოდ ჩვენს სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შეგვიძლია, ჩვენი ათასწლოვანი ისტორიის ტრადიციებზე, რომლებიც ჩვენს ერს აერთიანებს. ჩვენ ისტორიულ მეხსიერებას უნდა გავუფრთხილდეთ“, – განაცხადა პუტინმა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე.

ცნობისთვის, სოციალისტური შრომის გმირი, საპატიო წოდება ყოფილ სსრ კავშირში, წარჩინების უმაღლესი ჯილდო შრომითი საქმიანობისათვის. დაწესებულია სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით. ანიჭებდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იმ პირებს, რომლებმაც თავიანთი ნოვატორული საქმიანობით ხელი შეუწყვეს სსრკ მრეწველობის, სოფლის მეურნეობას, კულტურას თუ მეცნიერების აღმავლობას. სოციალისტური შრომის გმირს გადაეცემოდა სსრკ-ის უმაღლესი ჯილდო – ლენინის ორდენი, ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოთა პრეზიდიუმის სიგელი. ორგზის სოციალისტური შრომის გმირს თავის სამშობლოში აუგებდნენ ბრინჯაოს ძეგლს. სოციალისტური შრომის გმირის ჩამორთმევა შეეძლო მხოლოდ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

## „ჰეზბოლას“ წევრები სირიაში ბრძოლას განაგრძობენ

რადიკალური შიიტური დაჯგუფება „ჰეზბოლას“ ლიდერის ჰასან ნასრულას განცხადებით, მისი მებრძოლები სირიაში ხელისუფლების დასახმარებლად რჩებიან. აღნიშნული განცხადება ჰასან ნასრულამ ადგილობრივ ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.



„ჩვენი სახით ქვეყანას ნამდვილი მეგობარი ჰყავს, რომელიც ყველანაირად შეეცდება იმას, რომ სირიას მართველობა ამერიკის, ისრაელის ან ისლამისტი ექსტრემისტების ხელში არ ჩავარდეს“, – განაცხადა „ჰეზბოლას“ ლიდერმა.

შეიხ ჰასან ნასრულამ, ამ ფორმით კიდევ ერთხელ დაადასტურა ინფორმაცია, რომ „ჰეზბოლა“ სირიის სამთავრობო ძალებს, შეიარაღებული ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება.

შეგახსენებთ, რომ სირიის სამთავრობო ძალებსა და შეიარაღებულ ამბოხებულებს შორის შეტაკება 2011 წელს დაიწყო და ის ამ დრომდე გრძელდება. გაეროს მონაცემებით შეიარაღებულ შეტაკებების შედეგად 70 000 ადამიანი დაიღუპა.

სეიდი ჰასან ნასრულა „ჰეზბოლას“ უმაღლესი საბჭოს მოქმედი თავმჯდომარეა. იძებნება ინტერპოლის მიერ, საქმე აღძრულია ისრაელისა და ეგვიპტის სამართალდამცველების მიერ ტერორიზმის, ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებების და ეგვიპტის ხელისუფლების გადაწყვეტილებების იძულებითი შეცვლისკენ მოწოდებების გამო.

ნასრულას მსოფლმხედველობა საკმაოდ დიდი კამათის საგანია, მისი განცხადებით, სამოქალაქო პერსონები დაცულნი უნდა იყვნენ ძალადობისაგან, თუმცა ისრაელი „ჰეზბოლას“ მოიაზრებს მრავალი ტერორისტული აქტის მხარდამჭერად, რომლებიც სამოქალაქო პირების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჰასან ნასრულა გამოსვლებსა და ინტერვიუებში სიონიზმს უწოდებს „დედამიწის სახადს, რომელიც უნდა აღმოიფხვრას“, მკვეთრი წინააღმდეგია სიონიზმის ყოველგვარი გამოვლინებისა და მოითხოვს იერუსალიმის უპირობო დაბრუნებას მუსლიმთა მმართველობის ქვეშ. თუმცა ზოგ ინტერვიუში თანხმდება ისრაელის არსებობას 1948 წლის საზღვრებში.

## სამგლოვიარო განცხადებები

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის სხირტლაძეებისა და იობაშვილების საგვარეულო დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

**ჯემალ ვლადიმერის ძე სხირტლაძე**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კვიპროსის პარლამენტმა ეკონომიკის გადარჩენის გეგმა დაამტკიცა

კვიპროსის პარლამენტში, ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის გეგმა მიიღეს. აღნიშნული ახალი ეკონომიკური გეგმა, მკაცრ ეკონომიის ზომებს მოიცავს, თუმცა ამის სანაცვლოდ კვიპროსი საერთაშორისო კრედიტორებისაგან ფინანსური დახმარების მიიღებს. ამ შეთანხმების მიღებას 29 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი გამოვიდა 27 დეპუტატი.

პარლამენტის მიერ ამ შეთანხმების მიღებით ქვეყანას შესაძლებლობა ეძლევა 10 მილიარდი ევროს დახმარება მიიღოს. კრედიტორების მოთხოვნით, თავად ქვეყანამ 13 მილიარდი დოლარის ეკონომია უნდა შეძლოს. ეს კი შესაძლებელი სხვა ზომებთან ერთად, ქვეყნის უმსხვილესი ეროვნული ბანკის ლიკვიდაციით და „კვიპროსის ბანკის“ რეკონსტრუქციით არის შესაძლებელი.

ეკონომიკის გადარჩენის გეგმა, ქვეყანაში პრივატიზაციის რეგულირებას, პენსიებისა და ხელფასების შემცირებას და გადასახადების გაზრდას ითვალისწინებს.

პარალელურად, ქვეყანაში პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელიც პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. აქციის მონაწილეები პარლამენტარებს მოუწოდებდნენ, ეკონომიკის ახალი გეგმისთვის მხარი არ დაეჭირათ.

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის მიერ ეკონომიის მკაცრი ზომების გატარებას ადგილობრივი პროფკავშირები 24 საათიანი გაფიცვით აღნიშნავენ.

## ავღანეთში, სატვირთო თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად, შვიდი ადამიანი დაიღუპა

ავღანეთში სატვირთო თვითმფრინავის ბოინგ-747-ს ავიაკატასტროფის შედეგად, შვიდი ადამიანი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმფრინავმა ჰაერში რამდენიმე მკვეთრი მანევრი განახორციელა, შემდგომ კი საავტომობილო გზაზე ჩამოვარდა და აფეთქდა.

ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპულთა ვინაობა ჯერ-ჯერობით უცნობია. წინასწარი ინფორმაციით თვითმფრინავის კატასტროფა ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია, თუმცა ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით შესაძლოა თვითმფრინავის ვარდნის გამომწვევი მიზეზი „თალიბანის“ მიერ ორგანიზებული იყოს.

ასევე ავღანეთში გზაზე ნაღმის აფეთქების შედეგად სამი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. ინციდენტი ჰელმანდის პროვინციაში მოხდა, მაშინ როდესაც ჯარისკაცები გზაზე პატრულირებას ახორციელებდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ჯერ კიდევ დაჭრილ ჯარისკაცებს სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს და სამხედრო ფოსპიტალშიც გადაიყვანეს, თუმცა მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ავღანეთში დაღუპული ბრიტანელი ჯარისკაცების რაოდენობამ ექვსს მიაღწია.

## ობამამ გუანტანამოს ციხის დახურვის პირობა კიდევ ერთხელ დადო

გუანტანამოს ციხე, სადაც დღეისათვის 100-ზე მეტი პატიმარი შიმშილობს, უნდა დაიხუროს. განაცხადა კიდევ ერთხელ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელიც ამ ციხის დახურვის პირობას ჯერ კიდევ 2008 წელს დებდა. მისივე თქმით, სახელმწიფო ამ ციხეზე ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს და მისთვის ნაცნობია იქ არსებული პრობლემები.

„როდესაც ამირჩიეს 2008 წელს, მე ვამბობდი, რომ გუანტანამოს ციხე უნდა დაიხუროს. მე კვლავინდებურად ასე მიმაჩნია. გუანტანამოს ციხე არ არის აუცილებელი აშშ-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და მისი შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდება. ის უნდა დაიხუროს“, – განაცხადა ობამამ და პირობა დადო, რომ „მითითებას იმის შესახებ, რომ გამოინახოს ამ ციხის დახურვის შესაძლებლობა ადმინისტრაციას მისცემს, რათა მან ამ თემაზე კონგრესთან იმსჯელოს“.

„ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ გუანტანამოს ციხე არ არის აუცილებელი ცენტრი აშშ-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ის ძვირია და არაეფექტური“, – განაცდადა ობამამ.

შეგახსენებთ, რომ გუანტანამოს ციხეში ტერორისტულ საქმიანობაში ბრალდებულ ადამიანებს ათავსებენ. იქ ამჟამად 100 პატიმარი შიმშილობს, ხოლო სულ პატიმართა რაოდენობა 166-ია. პატიმრებმა შიმშილობა 6 თებერვალს გამოაცხადეს.

ცნობისთვის, გუანტანამოს უბე აშშ-ის მიერ კონტროლირებადი დიდი სამხედრო-საზღვაო ბაზაა (საიჯაროა 1903 წლიდან). 1959 წლის რევოლუციის შემდეგ კუბის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა აშშ-ს. კუბა მოითხოვს გუანტანამოს რაიონში მისი კუთვნილი სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიის დაბრუნებას.

2002 წლიდან ბაზის ტერიტორიაზე მოქმედებს ციხე.

## ვენესუელას პარლამენტში იჩხუბეს

ვენესუელას ეროვნული ასამბლეის დეპუტატებმა კარაკასში, პარლამენტის სხდომის დროს იჩხუბეს. ამის შესახებ ინფორმაციას „ასოშეიეთედ პრესი“ ავრცელებს. ჩხუბი ერთ-ერთი მოხსენების დროს დაიწყო.

გამართული ცემა-ტყეპის შემდეგ, ერთ-ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი, ხულიო ბორხესი ჟურნალისტების წინაშე დაზიანებული სახით წარსდგა. ორივე მხარემ, ჩხუბზე პასუხისმგებლობა თავის ოპონენტებს დააკისრა.

ვენესუელის ეროვნული ასამბლეა, ერთპალატიანი პარლამენტი, ხუთი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატებისაგან შედგება. პარლამენტში სამი ადგილი დაჯავშნულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 2 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „მე სემი ვარ„ (მ.პფაიფერი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00, 16.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 3-4 ნაწ. (ოთხშ. გ/ჩ) 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „ბაფიის ძვრივი„ 13.00 ქ/სერ „ეჰ, მეგობრებო„ 4 სერ. 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 1 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ყოვლისშემძლე გრუსი„ (ჯ.ენისტონი) 00.15 მხ/ფ „აუზი„ (ა.დელონი) 02.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ჩვენებურები„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ I ნაწ. 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ „გზა„ IV ნაწ. 13.00 კონცერტი - გია ყანჩელი „ლიტურგია„ 14.00 ჩვენი დრო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.45 დოკ/ფ „ვნების კვირა წმინდა მიწაზე„ IV ნაწ. 16.20 დოკ/ფ „წმინდა ოთხავი„ ლუკას სახარება 17.25 დიდი მარხვა 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ზეციის სიმაღლეს ეზიარა„ 19.40 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.30 წმინდა ზიარების შესახებ 22.40 საიდუმლო სერობისა და ფეხთბანვის განმარტება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 23.30 დოკ/ფ „კაპელანი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „მონასტრის ბინადარნი„

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00 კვირის აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.15 მაგთიფანი კონცერტი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.15, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ-შოუ - „პოლიტმეტრი„ 4.30 თავისუფალი დრო

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**2 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6508 | ევრო — 2,1602 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5635 | 100 რუსული რუბლი — 5,2816 |

## ამინდის პროგნოზი 2 მაისისთვის

## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

**მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები**

**ტომი 2**

**ჩეხური ზღაპრები**

### უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

### გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

## ლაიმა ვაიკულე თბილისში ჩამოდის

რუსული ესტრადის კიდევ ერთი ვარსკვლავი ლაიმა ვაიკულე თბილისს ეწვევა. ვალერი მელაძის, ლეონიდ აგუტინის, ანჟელიკა ვარუმისა და დიმიტრი დიუჟევის შემდეგ, თბილისში კონცერტს უკვე ლაიმა ვაიკულე გამართავს.

როგორც კონცერტის ორგანიზატორმა დათო ოქიტაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა:

– ლაიმა ვაიკულე საქართველოში 4 ივნისს ჩამოვა და კონცერტს გამართავს. ეს კონცერტიც იმ საქველმოქმედო კონცერტების ეგიდით ჩატარდება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაჭირვებული საზოგადოების დასახმარებლად ტარდება.

ლაიმა ვაიკულე თბილისში ბოლოს 2007 წელს იმყოფებოდა. იგი საქართველოში პროდიუსერმა ნატო დუმბაძემ მოიწვია. მომღერალმა კონცერტი 6 წლის წინ კლუბში „ტრიუმფი“ ჩაატარა. მაშინ მომღერალი თბილისში 15 კაციანი ბენდით ჩამოვიდა.

ლაიმა ვაიკულე ქართველ მსმენელთან შესახვედრად უკვე ემზადება და სპეციალურად ქართველი მსმენელისთვის თავისი რეპერტუარიდან ყველა დროის საუკეთესო ჰიტებთან ერთად, ახალ სიმღერებსაც შეასრულებს.

როგორც ცნობილი ხდება, რუსი მომღერლების არმიას, სულ მალე რუსული კინოსა და თეატრის ვარსკვლავი სერგეი ბეზრუკოვიც შეუერთდება. ეს მსახიობი საქართველოს გასულ წელს თბილისის თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ესტუმრა და ჩვენი ქვეყნით მოხიბლულმა პირობა დადო, რომ ისევ დაბრუნდებოდა. ამჯერად მსახიობი ქართული საზოგადოებისთვის იმღერებს და დუეტს, არც მეტი, არც ნაკლები, თემურ თათარაშვილთან ერთად შეასრულებს.

– ამ კონცერტებიდან შემოსული თანხა სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო საქმიანობებში დაიხარჯება. საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით რამდენიმე ოჯახისთვის გაგვემართა ხელი და შეგვექმნა პირობები, რომ ბედნიერები ყოფილიყვნენ და არსებობისთვის საჭირო მინიმალური პირობები მაინც ჰქონოდათ, – აცხადებს დათო ოქიტაშვილი.

**ეკა ირემაშვილი**

## ვენგერს პსჟ-ში ეპატიჟებიან



შესაძლოა, ლონდონის „არსენალის“ ამჟამინდელი დამრიგებელი, არსენ ვენგერი, ფრანგულ პსჟ-ს ჩაუდგეს სათავეში.

პარიზელები არასოდეს მალავდნენ, რომ სურდათ ვენგერის საკუთარ გუნდში ხილვა და ეს ვარიანტი 2014 წლისთვის განიხილებოდა. თუმცა მას მერე, რაც კარლო ანჩელოტიმ კლუბის პრეზიდენტ ნასერ ალ ხალიფთან პირად საუბარში განაცხადა, რომ სურს კლუბის დატოვება და „რეალში“ გადაბარგება, ვენგერის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

მის გადაბირებას პარიზელები უკვე ამ ზაფხულსვე შეეცდებიან. „ლა პარიზენის“ ცნობით, პსჟ-ს ხელმძღვანელობა უკვე მომავალ კვირაში გეგმავს ფრანგ სპეციალისტთან შეხვედრას, სადაც განხილული იქნება კიდეც კონტრაქტის საბოლოო დეტალები.

თუმცა, თავად ფრანგი სპეციალისტი სამუშაო ადგილის გამოცვლაზე ჯერ არ ფიქრობს.

**არსენ ვენგერი:**

– ყოველთვის პატივს ვცემდი ჩემს სამუშაო ხელშეკრულებებს. ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ცვლილებები უკვე ყველაზე ნაკლებად მჭირდება. ჩემი გონება მხოლოდ „არსენალის“ დარჩენილ თამაშებზეა მომართული, რის შემდეგაც უკვე სამომავლო გეგმებზე გადავერთვები.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 2 მაისისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, [illegible] **კურო** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაა დანიშნული. **ტყუპები** – საკუთარ თავს მეტი ყურადღება დაუთმეთ, ასე აჯობებს. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, მეგობრებს შეხვდებით. **ლომი** – ბედი გწყალობთ, დასახულ მიზანს მიაღწევთ. **ქალწული** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს გსიამოვნებთ. **სასწორი** – არავის დაუჯეროთ, მხოლოდ საკუთარ ინტუიციას. **ღრიანკალი** – ცხოვრება შეგეცვლებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **მშვილდოსანი** – არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები, მათ თქვენი დახმარება სჭირდებათ. **თხის რქა** – თქვენი წყალობით, ახლობლები კარგად გყავთ, საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ. **მერწყული** – კარგ სამსახურს შემოგთავაზებენ, უარი არ თქვათ. **თევზები** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთან საქმე აქვს მოსაგვარებელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯოსვოჰდი 2

**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანია; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზის მონაკვეთი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კატარის დედაქალაქი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 16. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 18. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 20. ინდოელ ქალთა ტანსაცმელი.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. მოხალული სიმინდი; 8. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 10. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 11. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 15. შტატი აშშ-ში; 17. მოხეტიალე ცირკი; 19. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 21. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. სასტუმროების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## რეზო ჩხეიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

**9 მაისს, ფამიზმზე გამარჯვების დღეს, ქართველ ჯინოჰეგისოხს რეზო ჩხეიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან. ამავე დღეს ჯინოთეატრ „ხუსთაველში“ ჰეგისოხის მიერ გადაღებული ფილმის „ჯარისკაცის მამას“ ფესტივალი ვენსია იქნება წარმოდგენილი. ფილმის პრემიერის დასრულებისთანავე რეზო ჩხეიძის სახელობის ვარსკვლავი ჯინოთეატრ „ხუსთაველის“ წინ საზეიმოდ გაიხსნება.**

მიუხედავად იმისა, რომ რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებული ფილმებიდან თითქმის ყველა გამორჩეულად საყვარელია ქართველი მაყურებლისთვის, „ჯარისკაცის მამა“ მისი შემოქმედების მწვერვალად არის მიჩნეული. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის შემდეგ, დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები „ჩვენი სასახლე“, „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, რომელმაც მოიპოვა კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი – „ოქროს რტო“ და I პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე.

რეზო ჩხეიძის ნამუშევრებს შორისაა მხატვრული ფილმები „ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „განძი“, „ზღვის ბილიკი“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“, რომელიც ამჟამად რუსულ ენაზეა გახმოვანებული და ქართულ ენაზე გახმოვანებას უცდის.

მიუხედავად ასაკისა, კინორეჟისორი 86 წლისაა, იგი გაჩერებას არ აპირებს და აღნიშნავს, რომ იდეები ისევ მრავლად აქვს და თუკი შესაძლებლობა

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## ჭაბუა ამირეჯიბი მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსია

კლასიკოსი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც ბერად აღიკვეცა და ამჟამად ბერი დავითია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად აირჩიეს. მასთან ერთად ეს საპატიო ჯილდო მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა და მედიკოსმა სერგეი მირონოვმაც მიიღეს. სამივე პიროვნება სხდომის წევრებმა საპატიო აკადემიკოსებად ერთხმად აირჩიეს.

აკადემიის საერთო კრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპისი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც ესწრებოდა, რომელიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსია. მან სამივე კანდიდატისთვის ამ წოდების მინიჭებას მხარი დაუჭირა.

– მე მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი და მხარდაჭერა აქ წარმოდგენილი აკადემიკოსების არჩევის გამო. ჭაბუა ამირეჯიბი ეტალონია სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის, მან ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და დღესაც აკეთებს. მისი სულიერი ინტელექტი იმდენად მაღალია, რომ ახლახან იგი ბერად აღიკვეცა და ეწოდა ბერი დავითი. რაც შეეხება მერაბ ბერძენიშვილს, მიმაჩნია, რომ ის ღირსია ამ წოდების. სერგეი მირონოვთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ მას ჰყავს ქართველი მეუღლე და რძალი და ძალიან უყვარს საქართველო, – აღნიშნა მისმა უწმინდესობამ.

**ეკა ირემაშვილი**

## კალაძის გამოსათხოვარი მატჩისთვის სრული სია ჯერ უცნობია

როგორც უკვე ცნობილია, 31 მაისს კახა კალაძე გამოსამშვიდობებელ მატჩს გეგმავს, რომელშიც ერთმანეთის წინააღმდეგ „მილანი“ და კალაძის ქართველი და უცხოელი მეგობრებისგან დაკომპლექტებული გუნდი ითამაშებენ.

როგორც კახი კალაძემ ენერგეტიკის სამინისტროში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, საქართველოს დედაქალაქს ესტუმრება „მილანის“ ყველა ის ფეხბურთელი, რომლებთანაც 10 წლის განმავლობაში ითამაშა და ბევრ წარმატებას მიაღწია. მათ შორის იქნებიან მალდინი, კოსტაკურტა, შევჩენკო, ალბერტინი, ნესტა და სხვები.

კახა კალაძე:

– რაც შეეხება მეორე გუნდს, რომელიც ითამაშებს „მილანის“ წინააღმდეგ, იქ იქნებიან ჩემი მეგობრები, არა მარტო ქართველი ფეხბურთელები, არამედ უცხოელები, მათ შორის კიევის „დინამოდან“, „ჯენოადან“, ასევე იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელები, რომლებთანაც ვმეგობრობ.

როგორც კულუარულად შევიტყვეთ, კალაძის გამოსათხოვარი მატჩისთვის მოწვევა ბევრ ვარსკვლავს დაეგზავნა, ახლა მათთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. არ არის გამორიცხული, ამ მოლაპარაკებების გამო მატჩის გასამართი თარიღი ოდნავ შეიცვალოს.

**მ. ჟ.**